ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## შალვა ხუციშვილი: „ვინც სპეცრაზმს წინააღმდეგობას გაუწევს, ის მიიღებს იმას, რაც მიიღეს“


გვ.5

მარნეულში არჩევნებთან დაკავშირებით 6 პირი დააკავეს

13 ოქტომბრიდან

ჩემი პირველი სიტყვები

ცხოველები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




პარასკევი, 14 ოქტომბერი, 2016

№244 (7170)

ფასი: 50 თეთრი

# ოპოზიცია მიტინგებს აპირებს


გვ.2

## გიგლა ბარამიძე: „ოცნებამ“ არჩევნები ინტელიგენტურად გააყალბა“

„ნაციონალებთან არავითარ შემთხვევაში არ ვითანამშრომლებთ“



„მეორე ტურებში საერთოდ თავზე გადაგვახევენ“


გვ.3

## ზურაბ აბაშიძე: „ხელისუფლებასთან ჩემ თანამშრომლობაზე საუბარი არ მიმდინარეობს“

„დღეს ვერაფერს ვიტყვი თავისუფალი დემოკრატების მარცხის მიზეზებზე“

## მეგი გოცირიძე: „მიშას ვერავინ დაიკიდებს“


გვ.5

## თორნიკე შარაშენიძე: „რესპუბლიკელთა საქციელი დასაფასებელია“

„ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება არ გაუჭირდება“


გვ.4

## ბიძინა ივანიშვილს საპარლამენტო მონარქიას სთავაზობენ


გვ.3

კობა კობალაძე: „პირველ ტურში რომ ვერ გავიმარჯვე, ეს ტრაგედია არ არის“


გვ.6


გვ.6

## ბიძინა გეგიძე: „თვალს არ ვუჯერებდი, როცა ნაციონალების პროცენტი ვნახე“

## ანი მიროტაძე „ოცნებას“ და თავისუფალ დემოკრატებს ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებს


გვ.5


გვ.6

## ნოდარ ხადური: „მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება“

## ალექსი პეტრიაშვილი ყოფილ თანაგუნდელებზე: „ცივი წყალი ბევრი მოდის“


გვ.4


გვ.4

## სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღებ პარტიათა რაოდენობა 20-მდე იზრდება

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ოპოზიცია მიტინგებს აპირებს

## გიგლა ბარამიძე: „ოცნებამ“ არჩევნები ინტელიგენტურად გააყალბა“

შორენა მარსაგიშვილი

ითანამშრომლებენ თუ არა ნაციონალებთან, შეიქმნება თუ არა ახალი ოპოზიციური გაერთიანება, რატომ ამბობს უარს ცესკო მათი საჩივრების განხილვაზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გიგლა ბარამიძე** ესაუბრება.

***– თქვენი პარტიის ლიდერი ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა ივანიშვილმა საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მიიღოს. იგივეს აცხადებენ რესპუბლიკელები და ნაციონალები. ნიშნავს თუ არა ბურჯანაძის განცხადება იმას, რომ თქვენ, შესაძლოა, ამ ძალებთან ითანამშრომლოთ?***

– ჩვენი პარტიის ლიდერის განცხადება არასწორად იქნა გაგებული. ჩვენ ნაციონალებთან და რესპუბლიკელებთან არც ერთად გაერთიანებას და არც მათთან ერთად ბრძოლას არ ვაპირებთ. საერთოდ, რაღაც უცნაურობად მიგვაჩნია მოწოდებები გაერთიანებაზე, რომლითაც ჯერ ეროვნული ფორუმი გამოვიდა, შემდეგ რესპუბლიკელებმაც აუბეს მხარი.

***– ამ გაერთიანებაში თქვენს პარტიას არც ეპატიჟებიან, ამბობენ, პროდასავლური პარტიების გაერთიანება უნდა მოხდესო.***

– ვაი ამათ პატრონს. რომელი რომის პაპები ეგენი მყვანან, მარცხნივ და მარჯვნივ რომ ანაწილებენ ტიტულებს და ტერმინებს. რომელი იდეის და ორიენტაციის მიმდევარი ხარ, ეს საქმიანობით უნდა გამოაჩინო და არა ბაქი-ბუქით. არჩევნების წინ ეს ვითომ პროდასავლური პარტიები ბაქი-ბუქობდნენ, როცა დამარცხდნენ, ისე დაიმალნენ, რომ საკუთარი ოჯახის წევრები ვერ პოულობდნენ. ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით ასეთ გაუგებარ, ხელოვნურ გადანაწილება-გადმონაწილებას.

როდესაც ვამბობთ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის წინააღმდეგი ვართ, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ნაციონალებს დავუჭერთ მხარს. ჩვენგან ისინი მხარდაჭერას ვერასდროს ეღირსებიან! სხვა თუ არაფერი, ჩვენ 26 მაისის პარტია ვართ.

ჩვენ საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნის წინააღმდეგ იმიტომ მივდივართ, რომ არ გვსურს, ერთი ადამიანის ხელში აღმოჩნდეს მთელი ძალაუფლება. საქმე კი სწორედ აქეთკენ მიდის.

***– ამასთან ბრძოლას მარტო აპირებთ?***

– მარტო რატომ, სხვა პარტიებთან კოორდინაციის რეჟიმში ვიქნებით, მაგრამ არანაირი გაერთიანება არ მოხდება. ბრძოლა კი მართლა აუცილებელია, რადგან ერთი კაცის ხელში მოქცეული ძალაუფლება პირველ რიგში ქვეყნისთვის იქნება ცუდი.

***– მოისურვებენ სხვა პარტიები თქვენთან კოორდინაციას?***

– არ მოისურვებენ და ამას საკუთარი ძალებით გავაკეთებთ. ყველამ ნახა, რომ არჩევნების შემდეგ არც ბრინჯივით დავბნეულვართ და არც დავშლილვართ. ჩვენ ვართ ერთადერთი ოპოზიციური ძალა, რომელიც არჩევნების შედეგების გადახედვას ითხოვს.

***– სხვა პარტიებმა რატომ არ მოითხოვეს?***

– სად აქვთ მაგისი თავი? პატრონები და იმედი როგორც კი დაკარგეს, ზოგი პოლიტიკიდან გაიქცა, ზოგი სადღაც დაიკარგა და დღემდე ვერ პოულობენ, ზოგიერთი ტუალეტიდან გამოათრიეს მთვრალი ოჯახის წევრებმა და გამოლანძღეს, რა გჭირს შე უპატრონოო.

***– გინდათ თქვათ, რომ დემოკრატიული მოძრაობა წაგებას გაგებით მოეკიდა?***

– ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკაში როცა ხარ, ან წააგებ, ან მოიგებ. ამის გამო ისტერიკაში ჩავარდნა არ შეიძლება. არჩევნების შედეგებს რაც შეეხება, ჩვენ მას არ ვცნობთ. არჩევნების დროს დაფიქსირდა უამრავი დარღვევა და ცესკო ვალდებულია, არჩევნების შედეგებს გადახედოს. ჩვენი ოფისები ახლაც ფუტკრის სკასავით ზუზუნებს და პარალელურ დათვლებს ვაწარმოებთ.

***– რა დარღვევები აღმოაჩინეთ?***

– დარღვევების მეტი რა იყო. ჩვენი ოქმების 40%-ზე მეტი დაბალანსებული არ არის. კარუსელებიც ბევრგან დაატრიალეს. წინა რეჟიმი არჩევნებზე სისხლს ღვრიდა და ტანკებით დარბოდა, „ქართულმა ოცნებამ“ კი ინტელიგენტური გაყალბების გზა აირჩია და ამ საქმეში ნოუ ჰაუ შემოგვთავაზა.

***– ეს ინტელიგენტური გაყალბება რაღას ნიშნავს?***

– თითქოს არაფერი ხდება, მაგრამ ძალიან ჩუმად და ლამაზად აგვარებენ საქმეებს საარჩევნო ყუთთან. კოხტად ცვლიდნენ ბიულეტენებს. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ადგილი ჰქონდა დამკვირვებლების და კომისიის წევრების მოსყიდვასაც.

***– დამკვირვებლების და საარჩევნო კომისიის წევრების მოსყიდვაზე ბურჯანაძემაც ისაუბრა. გინდათ თქვათ, რომ თანამოაზრეებმა გიღალატეს?***

– სამწუხაროდ, იყო ასეთი ფაქტები. ჩვენ მათი ვინაობა უკვე ვიცით. ამ ადამიანებმა საკუთარი სული გაყიდეს 200-300 ლარად და მათ თავისი უბედურებაც ეყოფათ.



### „ნაციონალებთან არავითარ შემთხვევაში არ ვითანამშრომლებთ“

***– 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე დემოკრატიულმა მოძრაობამ 11% აიღო. წლევანდელ არჩევნებზე კი ბევრად დაბალი შედეგი დადეთ. თქვენ კი დაასახელეთ მიზეზები, მაგრამ მარტო ეს იყო თქვენი მარცხის ბრალი. იქნებ პარტიამ აწარმოა არასწორი პოლიტიკა?***

– ჩვენი ბრალიც იყო, მაგრამ მაინც ხმამაღლა შემიძლია იმის თქმა, რომ ჩვენ ბევრად მეტი ხმა მივიღეთ, ვიდრე ცესკომ დაგვიწერა. პარტიაში აუცილებლად მოხდება სტრუქტურული ცვლილებები და არსებულ ხარვეზებსაც გამოვასწორებთ. წინ კიდევ არის არჩევნები.

ამ არჩევნების წინ ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორიც იყო. ჩვენი კუთვნილი უფასო სარეკლამო დრო ჩამოგვაჭრეს და კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გამოყრილ პარტიებს გადაუნაწილეს. ამის გარდა, არ მოგვცეს თანხა, რომელიც ასევე კანონით გვეკუთვნოდა, გვითხრეს, არჩევნების შემდეგ მოგცემთო. უფულობამაც შეგვიშალა ხელი.

პირადად მე ძალიან თვითკრიტიკული ვარ და ვაღიარებ, რომ ბევრი რამე ისე არ წარიმართა, როგორც ჩვენ გვინდოდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი დათვლებით, ამომრჩეველთა ხმების 10-დან 12%-მდე მივიღეთ.

***– სად არის ეს ხმები?***

– გამქრალია. მოგიყვანთ კონკრეტულ მაგალითებსაც. მე მთაწმინდაზე ვიყრიდი კენჭს. ამ საარჩევნო ოლქში 31 საარჩევნო უბანია. 31 უბნიდან 30 უბანზე ოქმები არის დაუბალანსებელი. იმაზე მეტი ბიულეტენია ჩაყრილი, ვიდრე ცოცხალი ამომრჩეველია უბანზე მოსული. ერთ-ერთ უბანზე მე მიღებული მაქვს 162 ხმა, ეს გადაშლილია და 32 ხმა წერია.

გაკეთდა განცხადება, რომ გაბათილდა 2.000 ან 3.000 ბიულეტენი. სინამდვილეში ცესკოს გაბათილებული აქვს 62.000 ბიულეტენი. 40-დან 42% ჩვენი ოქმები არის დაუბალანსებელი. ეს ყველაფერი ძალიან დიდ ეჭვებს იწვევს და ხელახალ გადათვლას საჭიროებს.

ამ უკანონობის წინააღმდეგ ყველამ უნდა ამოიღოს ხმა, რადგან საქართველოში არჩევნები კიდევ ჩატარდება და თუ არაფერი ვიღონეთ, კიდევ დაბეჭდავენ დამატებით ბიულეტენებს და შედეგებსაც შეგვიცვლიან.

კითხვის ნიშნები არსებობს ამომრჩევლების სიებთან დაკავშირებითაც. ყველა აღიარებს, რომ ამომრჩეველთა სიები გაბერილი იყო. 2012 წლიდან მოყოლებული იმაზე მიდიოდა საუბარი, რომ ბიომეტრიული სიები გაკეთებულიყო, რაც „ქართულმა ოცნებამ“ არ გააკეთა.

საინტერესო ფაქტია საარჩევნო უბნების დახურვის წინ გააქტიურებული ამომრჩეველი. უბნების დახურვამდე საათნახევრით ადრე, ხელისუფლებამ მოიყვანა 350.000 ამომრჩეველი.

***– ეს რატომ არის საეჭვო, ხელისუფლებას შეეძლო საყოველთაო მობილიზაცია გამოეცხადებინა.***

– შეეძლო, მაგრამ საინტერესო ისაა, როგორ შეძლო 350.000 კაცმა 1,5 საათში რიგების გარეშე ხმის მიცემა. ამ პერიოდში რიგები არსად შეინიშნებოდა. ეს იყო დამატება. ხმები დასჭირდათ და მიაყარეს ბიულეტენები.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზეც ასე გააკეთეს. რაკი იმ ერთმა კაცმა თქვა, მარგველაშვილმა პირველივე ტურში 67% უნდა აიღოსო, მიაყარეს ბიულეტენები და ზუსტად 67% დაუსვეს. ახლაც ასე არ იყო? არც ერთი პროგნოზი არ გამართლდა, იმ კაცის შეკვეთილი ეგზიტპოლის გარდა.

ასე თუ გაგრძელდა, მაშინ ვთქვათ, რომ არ გვინდა არჩევნები, არ გვინდა მრავალპარტიული არჩევნები. დასვას იმ ერთმა კაცმა პროგნოზი და დავამთავროთ საქმე.

მესმის, რომ ნაციონალური მოძრაობა საზიზღარი იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას“ ყველაფერზე უნდა დავუხუჭოთ თვალი. საინტერესოა, როგორ მოხდა ისე, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალად ისევ ნაციონალური მოძრაობა დატოვეს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ნაციონალები ხელისუფლების დახმარებით გავიდნენ მეორე ადგილზე?***

– რა თქმა უნდა. „ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობა სჭირდება. ამ არჩევნებზე იმდენად ბევრი ბერკეტი აიღო „ქართულმა ოცნებამ,“ რომ ნაციონალებისკენ ხელს ველარ გაიშვერენ, ველარ წამოაძახებენ სისხლიან 9 წელს. ნაციონალები საკმაოდ მომგებიან პოზიციაში არიან, მათ ოპოზიციაში ყოფნისას შეძლეს 27%-ის აღება. ამით ამ პარტიის „გაპრავება“ და გასუფთავება მოხდა. ამ დიდმა მადამ „ქართული ოცნება“ ცუდ დღეში ჩააგდო. აწი ყველაფერზე ეგენი აგებენ პასუხს.

***– მოდით, ისევ თქვენი პარტიის მიერ დადებულ შედეგს დავუბრუნდეთ. იქნება ეს შედეგი იმიტომ დადგა, რომ დემოკრატიული მოძრაობა პრორუსულ პარტიად მოიაზრებოდა?***

– ჩვენ პრორუსულ პარტიად მოგვიხსენიებდნენ და კარგად ვნახეთ, ვინც გაიყვანეს პარლამენტში. დემოკრატიული მოძრაობა არ ვაჭრობს ამ პრო თავსართებით. ჩვენი ამოსავალი ეროვნული ინტერესებია, რომელიც მრავალვექტორულ ხედვებს ითვალისწინებს – რუსეთთან ურთიერთობის დალაგება ევროკავშირის წევრობას არ გამორიცხავს.

ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავია, როგორმე ხმების ხელახალ გადათვლას მივაღწიოთ. ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ცენტრალური საარჩევნო კომისია.

***– რატომ ეწინააღმდეგება?***

– სამწუხაროდ, ცესკო და მისი თავმჯდომარე დამოუკიდებლად ვერ მოქმედებენ. დაგველაპარაკა ცესკოს თავმჯდომარე და მთელი პასუხისმგებლობა გადაალაგა საოლქოებზე. მივდივართ საოლქოებში საჩივრის დასაწერად. გვეუბნებიან, გავხსნით ყუთს, მერე გადიან შესვენებაზე, რეკავენ სადღაც და უარს გვეუბნებიან.

12 ოქტომბერს მთაწმინდის მე-9 უბანზე ერთადერთი ყუთი გახსნეს, რაც ჩვენი მოთხოვნით არ მომხდარა. ეს ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოითხოვა. არც მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებდნენ, მაგრამ ეგონათ, რომ მე-9 უბანზე ყველაზე კარგად ჰქონდათ დალაგებული საქმე. იქაც კი აღმოჩნდა სერიოზული გაყალბება.

***– თუ ცესკო ყუთების გახსნას არ აპირებს, სიმართლე როგორ უნდა დაადგინოთ?***

– მივმართავთ სასამართლოს და პარალელურად, შესაძლოა, მიტინგებიც გავმართოთ.

***– ნაციონალებმაც რომ გამართონ მიტინგები, რას იზამთ?***

– ჩვენ ნაციონალებთან არავითარ შემთხვევაში არ ვითანამშრომლებთ, თანაც მაგათ რატომ უნდა გამართონ მიტინგები, თავის მიზანს მიაღწიეს.

## ლევან ბერძენიშვილი: „ოცნებას“ არ ჰყავს უსუფაშვილის ტოლფასი კანდიდატი“



– „ოცნებას“ არ ჰყავს უსუფაშვილის ტოლფასი კანდიდატი, ამიტომ სულ ერთია, ვის აირჩევენ პარლამენტის თავმჯდომარედ.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს რესპუბლიკური პარტიის წევრმა ლევან ბერძენიშვილმა განუცხადა.

ბერძენიშვილი გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შესაძლოა, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე „ქართული ოცნების“ წევრი ირაკლი კობახიძე დაინიშნოს.

– ჩვენ არ ვიცნობთ ამ ფიგურას, ახალი კაცია, კაციშვილმა არ იცის, როგორი იქნება, ამიტომ წინასწარ შეფასების გაკეთება გამიჭირდება, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

კითხვაზე, სხვა რომელი კანდიდატურა წარმოუდგენია ამ პოსტზე, ბერძენიშვილმა უპასუხა, რომ ეს „ქართული ოცნების“ გადასაწყვეტია.

– არც ერთზე არ მაქვს ისეთი აზრი, რომ ვინმე შეიძლება შეედაროს უსუფაშვილს, მაგრამ მათი საქმეა, შეიძლება ჩვენ ვცდებით, და შეიძლება ამ ახალგაზრდებში იპოვონ ვინმე. ეს ჩვენი გადასაწყვეტი აღარ არის. ჩვენ მივიღეთ ჩვენი პროცენტი, „ქართული ოცნება“ ვისაც ჩათვლის სწორად, იმას დანიშნავს და იმას მიესალმება ამომრჩეველი, რომელმაც მათ ანდო ეგ ამბავი, – განაცხადა ბერძენიშვილმა.

## ვიქტორ დოლიძე პრემიერთან შეხვედრას არ ადასტურებს



თავისუფალი დემოკრატების ყოფილი წევრი ვიქტორ დოლიძე პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას არ ადასტურებს.

– ბევრი ჭორი დადის, გავიკითხე ეს ინფორმაცია და არავითარი ამდაგვარი შეხვედრა არ ყოფილა, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

კითხვაზე, შემოთავაზების შემთხვევაში განიხილავს თუ არა მმართველ გუნდთან თანამშრომლობას, ვიქტორ დოლიძემ აღნიშნა, რომ ის არაფერს გამორიცხავს.

– ოპოზიციაში რომ ვიყავი, მაშინ არ გამოვრიცხავდი თანამშრომლობას, მით უმეტეს, სახელმწიფო თემებთან დაკავშირებით, თუმცა დღეს ბუნებაში არარსებულ თემაზე კომენტარის გაკეთება არ იქნება სწორი, – განაცხადა დოლიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ზურაბ აბაშიძე: „ხელისუფლებასთან ჩემ თანამშრომლობაზე საუბარი არ მიმდინარეობს“

## „დღეს ვერაფერს ვიტყვი თავისუფალი დემოკრატების მარცხის მიზეზებზე“

ნონა ცაბაძე

უკვე ცნობილია, რომ თავისუფალი დემოკრატები პარტიის ლიდერის, ირაკლი ალასანიას გარდა, კიდევ ხუთმა ცნობილმა სახემ დატოვა.

„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი დემოკრატების ყოფილი წევრი და ერთ-ერთი ლიდერი **ზურაბ აბაშიძე** პასუხობს.

***— ბატონო ზურაბ, გარდა იმისა, რომ პარტია ლიდერების გარეშე დარჩა, რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების რეორგანიზაციაც დაიწყო. რა ხდება პარტიაში? უამრავი ჭორი მოვისმინეთ. ითქვა, რომ ზოგი ხელისუფლებაში მიდიხართ, რომ წნეხს ვერ გაუძელით, შიგნით იყო დაპირისპირება და ასე შემდეგ. რით ახსნით ამ პროცესს?***

— არა, რა თქმა უნდა, ასე არ არის. რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი და ვთქვათ ერთი რამ, რომ ეს არის ის შედეგები, რომელიც უნდოდა საზოგადოებას. მე გულწრფელად განვაცხადე და კიდევ გავიმეორებ, რომ დავამთავრე პარტიული მოღვაწეობა. ამ გადაწყვეტილებით მეტი შანსი მივეცი იმ ადამიანებს და გზა გავუხსენი, ვისაც სურს, პარტიული ცხოვრება გააგრძელოს.

***— პარტია რჩება, არ იშლება? დარჩა ვინმე პარტიაში?***

— ეს პარტია დარჩა, როგორც კვალიფიციური სუბიექტი, იმიტომ, რომ 4%-ზე მეტი მიიღო და ვისაც აქვს ამის განცდა და სურვილი, რომ ეს საქმე გააგრძელოს, აუცილებლად უნდა გააკეთოს. მარტო ირაკლი ალასანიას არ აუღია პასუხისმგებლობა ამ პარტიის წარმატებასა და წარუმატებლობაზე. ჩვენ ერთად შევქმენით პარტია თავისუფალი დემოკრატები. ჩვენ ვერ შევძელით, რომ ამ პარტიას წარმატებით ჩაეტარებინა ეს არჩევნები და შესულიყო პარლამენტში.

***— პირველივე მარცხზე უკან დახევა სწორია? ხომ შეიძლებოდა, კიდევ გებრძოლათ წარმატებისთვის?***

— მე არანაირად უკან არ ვიხევ არაფერში! მე ვთქვი, რომ ის ხმები, რომლებიც მე მივიღე, ან მიიღო ირაკლი ალასანიამ, სერიოზულ აცდენაშია პარტიასთან. თუ ჩვენ ავიღებთ და შევხედავთ „ქართული ოცნების“ კანდიდატებს, ან თუნდაც ნაციონალური მოძრაობისას, მათმა წარმომადგენლებმა უფრო ნაკლები ხმები მიიღეს, ვიდრე პარტიამ. ჩვენთან კი ძალიან სერიოზული სხვაობა იყო. თვითონ პარტიამ ვერ მოიპოვა მხარდაჭერა საზოგადოებაში! ეს დავინახე მე. პიროვნულად მე ჩემს თავს არ ვთვლი დამარცხებულად. პირიქით, ეს არის ახალი ეტაპი, მე მჭირდებოდა გარკვეული თავისუფლება, როგორც ადამიანს და მე ეს გადაწყვეტილება მივიღე ჩემს მეგობრებთან ერთად.



***— ეს ბიძგი ხომ არ მოგცათ ირაკლი ალასანიამ? რომ არ წასულიყო ირაკლი, მაინც წახვიდოდით?***

— ჩემგან განსხვავებით, ირაკლი ალასანია არ წასულა პარტიიდან. ის დარჩა პარტიაში. ჯერჯერობით თავმჯდომარეა. მე მის მაგივრად ვერაფერს გეტყვით, რას აპირებს და როგორ. ბუნებრივია, მე ეს ვიცი, მაგრამ ამაზე თავად უნდა ისაუბროს. ჩემი, როგორც ზურაბ აბაშიძის, ბიოგრაფია არც ამ პარტიაში დაწყებულა და არც ამ პარტიით მთავრდება. უბრალოდ, მე ჩემი თავი ამოვწურე პარტიაში. დავასრულე პარტიაში მოღვაწეობა.

***— პოლიტიკაშიც დაასრულეთ?***

— მე პარტიიდან წამოსვლის შემდეგ ისეთი არაფერი მითქვამს, რომ რაღაც ინტრიგა დამეტოვებინა. ცხოვრება და მომავალი გვაჩვენებს, თუ სად ვიქნები, როგორ ვიქნები და რა ამპლუაში ვიქნები. ჯერჯერობით არაფერი გადაწყვეტილი არა მაქვს.

***— ხელისუფლებასთან თანამშრომლობას გამორიცხავთ, რომ იყოს ეს შემოთავაზება?***

— ამასთან დაკავშირებით გპასუხობთ, რომ ახლა მე მჭირდება დრო, ცოტა უნდა დავისვენო, გავაანალიზო ეს შედეგები და მომავალში სად ვიქნები და როგორ ვიქნები, რა ამპლუაში დამინახავთ, ეს დღეს არ ვიცი.

პირდაპირ გეუბნებით, რომ არანაირი საუბარი ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე არ არსებობს. მე ვიყავი ოპოზიციონერი და ხელისუფლებამ დღეს მოიპოვა ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა. იმის შიშით, რომ მიშა არ დაბრუნებულიყო, ხალხმა „ოცნებას“ მისცა ხმა. ამის მეტს ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით.

***— სამართლიანად ჩატარდა არჩევნები?***

— ვერც იმას ვიტყვი, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, როგორც ჩემი ზოგიერთი კოლეგა ამბობს. ამ ხალხს არ უნდა, რომ რეალობას გაუსწორონ თვალი. მთელი მსოფლიო აღიარებს ამ არჩევნების შედეგებს. აი, ეს არის რეალობა. რა თქმა უნდა, მე არ ვთვლი, რომ ეს იყო იდეალური არჩევნები, არ ვთვლი, რომ ეს იყო უნიკალური, მაგრამ ეს არის შედეგი, რომელიც არის.

***— თქვენს თანაგუნდელებზე რას იტყვით, იგივე ვიქტორ დოლიძეზე, რომელზეც აქტიურად მიდის საუბარი, რომ მინისტრის პორტფელს სთავაზობენ. მიდის ხელისუფლებაში?***

— არაფერი მსგავსი არ ხდება. ეს არის სულ მოგონილი ამბები. ამ საკითხზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

***— გამუდმებით საუბრობდნენ იმის თაობაზე, რომ თქვენ და კიდევ რამდენიმე ლიდერი წინააღმდეგი იყავით კოალიციიდან გამოყოფის, რომ ამის გამო აღარ იყო გუნდში ერთსულოვნება და ამ არჩევნებმა წერტილი დაუსვა ყველაფერს. ასეა?***

— ახლა თქვენ გინდათ, მე ყველაფერი მოვყვე წარსულზე? ამის დროც დადგება. მე რაც უკვე ვთქვი, იმაზე მეტს არაფერს ვიტყვი. ჯერ კიდევ მეორე ტურებია წინ, დასრულდება მეორე ტურები და, ბუნებრივია, ამის შეფასებასაც გავაკეთებთ. დღეს ამაზე არ ვფიქრობ, ეს არ არის ჩემი პრიორიტეტი, რომ გამოვიდე და საზოგადოებას ჩემი პარტიის შეცდომებზე ვესაუბრო, ან ჩვენი წარუმატებლობები გარეთ გამოვიტანო.

# ქართულმა დელეგაციამ უკრაინის მხარდამჭერი დოკუმენტისთვის ხმის მიცემას თავი აარიდა





გუშინ, 12 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ უკრაინასთან დაკავშირებით მიიღო ორი რეზოლუცია. საქართველოს დელეგაციის არც ერთ წევრს არც ერთი რეზოლუციის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

— თუ საქართველოს დელეგაციამ განზრახ არ მიიღო მონაწილეობა უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციების კენჭისყრაში, ეს ჩვენი ქვეყნისთვის ცუდად დამთავრდება. ძალიან ეჭვი მეპარება, რომ უფრო სერიოზული საკითხი იყო განსახილველი საქართველოს და შვეიცარიის საპარლამენტო დელეგაციებს შორის, ვიდრე უკრაინასთან და მათ შორის, საქართველოსთან დაკავშირებული რეზოლუციებია, — განაცხადა საქართველოს ყოფილმა ელჩმა ევროპის საბჭოში მამუკა ჟღენტმა.

ჟღენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს დელეგაციის გადაწყვეტილებას გამართლება არ აქვს. ამასთან, მამუკა ჟღენტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ უკრაინის კონფლიქტის შესახებ რეზოლუციებიდან თანდათან ქრება საქართველოს საკითხი.



საქართველოს ყოფილი ელჩი არასერიოზულად მიიჩნევს არგუმენტს იმის შესახებ, რომ სესიის პარალელურად საქართველოს დელეგაციას შეხვედრა ჰქონდა შვეიცარიელ კოლეგებთან. იგი აღნიშნავს, რომ თავად შვეიცარიის დელეგაციას კენჭისყრაში მონაწილეობა მიღებული აქვს.

* * *

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრმა ეკა ბესელიამ დელეგაციის საქციელი იმით გაამართლა, რომ ის შვეიცარია-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელს ხვდებოდა.

— ჩვენ გვქონდა შეხვედრა შვეიცარიის დელეგაციის წარმომადგენლებთან. მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელს ვხვდებოდით, რომელიც იმავდროულად არის ეუთო-ს დელეგაციის ხელმძღვანელი და მომავალი თანამშრომლობის მნიშვნელოვან საკითხებს განვიხილავდით, — განაცხადა ქ-მა ბესელიამ.

* * *

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაცია სტრასბურგში მანანა კობახიძის, ეკა ბესელიას, ზვიად კვაჭანტირაძისა და გუგული მაღრაძის მონაწილეობით იმყოფება.

# ბიძინა ივანიშვილს საპარლამენტო მონარქიას სთავაზობენ



საქართველოს სამეფო კლუბი ბიძინა ივანიშვილს საპარლამენტო მონარქიაზე გადასვლის ინიციატივით მიმართავს. საქართველოს სამეფო კლუბის განმარტებით, მიმართვის ადრესატი ბიძინა ივანიშვილი იმიტომაა, რომ გუნდი, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა, მისი ჩამოყალიბებულია და ამ გუნდის წევრებზე ივანიშვილს დიდი გავლენა აქვს.

მიმართვაში ნათქვამია, რომ საქართველოში საპრეზიდენტო რესპუბლიკა პრაქტიკულად აღარ არის, „ქართული ოცნების“ წევრებს კი გადაწყვეტილი აქვთ, შეცვალონ ჩანაწერი კონსტიტუციაში და პრეზიდენტი პარლამენტმა აირჩიოს. საქართველოს სამეფო კლუბის განცხადებით, საპარლამენტო მონარქია გაცილებით იაფია, ვიდრე საპარლამენტო მმართველობა და ამგვარი მმართველობა ერის კიდევ უფრო კონსოლიდაციისთვისაც კარგი იქნება.

— ბატონო ბიძინა, როგორც საქართველოს სამეფო კლუბის სპიკერი და ამ საკითხზე მრავალი წლის მანძილზე მომუშავე ადამიანი, გთხოვთ, დაფიქრდეთ, იმსჯელოთ და გაანალიზოთ ჩვენი წინადადება — გთავაზობთ საპარლამენტო მონარქიას! სახალხო, კონსტიტუციურ, შეზღუდულ, თანამედროვე მონარქიას! ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, საპარლამენტო მონარქია, ფაქტობრივად იგივეა, რაც საპარლამენტო რესპუბლიკა! ქვეყნის მეთაურის მოვალეობას, პრეზიდენტის მაგიერ, ასრულებს კონსტიტუციური მონარქი.

საპარლამენტო მონარქია გაცილებით იაფია, ვიდრე საპრეზიდენტო მმართველობა. საპარლამენტო მონარქიის დროს, მეფე დასჯერდება ზუსტად იმ ხარჯებს, რაც აუცილებელი იქნება საპარლამენტო რესპუბლიკის შემთხვევაში ქვეყნის პრეზიდენტისათვის, მისი კანცელარიისათვის და სხვა.

ქვეყნის მართვა გაგრძელდება ჩველებრივად, პარლამენტი იქნება საკანონმდებლო ორგანო, პარლამენტის მიერ არჩეული მთავრობა განახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, მხოლოდ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტის მაგიერ, ქვეყნისთვის საჭირო ცერემონიალურ და სიმბოლურ მოვალეობებს იტვირთებს მეფე, — ნათქვამია სამეფო კლუბის სპიკერის, გაიოზ (გია) მამალაძის მიმართვაში.

**მედიანიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თორნიკე შარაშენიძე: „რესპუბლიკელთა საქციელი დასაფასებელია“

## „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება არ გაუჭირდება“

ნონა ცაბაძე

სახიფათო არის თუ არა საკონსტიტუციო უმრავლესობა „ოცნების“ ხელში? რამდენად დემოკრატიულად ჩაიარა საპარლამენტო არჩევნებმა? რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო ნაციონალურმა მოძრაობამ? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, დასავლეთი დემოკრატიულს უწოდებს საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს. სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, საქართველო რეგიონში დემოკრატიული რეფორმების ლიდერია. ქართული ოპოზიცია ამ შეფასებებს ნაკლებად იზიარებს. როგორია თქვენი შეფასებები?***

– რაღაცები საერთაშორისო დამკვირვებლებსაც არ მოეწონათ. თუმცა იმას, რომ „ქართული ოცნება“ იმარჯვებდა, ყველა აღიარებს. სხვათა შორის, ნაცმოძრაობაც. საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა რეგიონის კვალობაზე და ამას გაფრთხილება სჭირდება. ამ ფონზე არავის სჭირდება, რომ საქართველოს ლანძღვა დაიწყოს.

***– რაღაცების არმოწონებაში რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ორ დამკვირვებელს სცემეს. დარბევის და შევარდნის კადრები ყველამ დაინახა და ყველა მიხვდა, რომ არჩევნები არც ისე სანიმუშო იყო, როგორც ეს გამოჰყავთ. ეს ძალიან ცუდია. მსგავსი რამ ნამდვილად არ სჭირდებოდა „ქართულ ოცნებას“, ის მაინც იგებდა ამ არჩევნებს.

***– ის მოცემულობა, რასაც მივიღებთ პარლამენტში, რამდენად სახიფათო შეიძლება იყოს დემოკრატიული პროცესებისთვის ქვეყანაში?***

– სახიფათოა ძალიან! ჩვენ ვიცით, როგორ მთავრდება ერთი ჯგუფის მიერ აბსოლუტური ძალაუფლების ხელში ჩაგდება. დღეს ჩვენ იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ ადამიანს, რომელიც რეალურად საქართველოს მართავს, ცუდი რაღაცების გაკეთება არ მოუნდება. იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ ის გულკეთილი და გონიერი ადამიანია. სხვა, რეალურად შემაკავებელი ძალა ამ ადამიანის წინ არ დგას, პრაქტიკულად მის ხელშია ყველაფერი.



***– ფიქრობთ, რომ „ოცნება“ შეძლებს საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას?***

– წესით კი. არა მგონია, ქართველი ამომრჩეველი ამ ორ კვირაში ისე მოტრიალდეს, რომ მასობრივად გაიაზროს საფრთხე, რომელიც ჩვენ წინაშე დგას და წავიდეს და ხმა არ მისცეს „ოცნებას“. ამის დიდი იმედი მე არ მაქვს.

***– ფიქრობთ, რომ მეორე ტურში „ოცნებას“ ექნება უპირატესობა?***

– კი. იმიტომ, რომ ვისაც პირველ ტურში არ მოსწონდა ნაციონალების კანდიდატი, მეორე ტურამდე რა შეუცვლის განწყობას?! როგორც ჩანს, ამომრჩეველი რეალურ საფრთხეს ვერ იაზრებს.

***– უკვე მოვისმინეთ მინიშნებები იმის თაობაზე, რომ შევა ცვლილებები კონსტიტუციაში. შეიცვლება პრეზიდენტის არჩევის წესი. ამ ყველაფერზე რას ფიქრობთ?***

– ეს მინიშნება თავისთავად უკვე სახიფათოა, რადგან ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც დღეს ვერ აკონტროლებს არჩეული ძალა, არის სწორედ პრეზიდენტის ინსტიტუტი. ძალიან ცუდია, თუ ამას აპირებენ. თუ აირჩიეს მათ თავიანთი მონა-მორჩილი, გამოდის, რომ არანაირი შემაკავებელი ძალა აღარ იქნება და, როგორც ასეთი, პრეზიდენტის ინსტიტუტი აღარ იარსებებს!

***– რას იტყვით ნაციონალურ მოძრაობაზე, სადაც სერიოზული დაპირისპირებაა. რამდენად სწორად მოექცნენ საკუთარ ლიდერს გუნდის წევრები?***

– მათი ლიდერი უკვე დიდი ხანია, ცხოვრობს საქართველოს ფარგლებს გარეთ. მე არ გამოვრიცხავ, იმის გამო, რომ ის შორს არის, მან სიტუაცია სათანადოდ ვერ შეაფასა. გამოვიდა და უთხრა ხალხს, ჩამოვდივარო და საბოლოო ჯამში ამ განცხადებით მოახდინა მობილიზაცია ნაცმოძრაობის მოწინააღმდეგეების. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამას თვითონაც მიხვდა. მეორე დღეს გამოვიდა და გამოაცხადა, აღარ ჩამოვდივარო.

***– არ უნდა გაეკეთებინა მსგავსი განცხადებები?***

– არა. არ იყო საჭირო. ნაცმოძრაობის მომხრეები მაინც მობილიზებულები იყვნენ, მათ აღარ სჭირდებოდათ მსგავსი ტიპის მოწოდება.

***– მისმა განცხადებებმა უკურეაქცია გამოიწვია?***

– დიახ. ამას თავადაც მიხვდა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ამან უარყოფითი შედეგი გამოიღო. ნაცმოძრაობის ლიდერებს, ვინც აქ არის დარჩენილი და მართავენ ნაცმოძრაობას, აქვთ სათქმელი სააკაშვილთან – შენ დიდი ხანია წახვედი, აქ სიტუაციას ჩვენ ვმართავთ, ჩვენს თავზე გადადის ყველაფერი და ასე შემდეგ. გვესმის განცხადებები, რომ ულალატეს თავის მმართველს, თუმცა მე არ ვიზიარებ ამ პოზიციას, არ არის საქმე ასე მარტივად. სააკაშვილი სამი წელია, სხვა ქვეყანაშია და პარტიას სხვები მართავენ.

***– ანუ სააკაშვილის პასუხისმგებლობა პარტიაზე უკვე ნაკლებია?***

– რა თქმა უნდა! მისი რეიტინგი განაპირობებს ნაცმოძრაობის რეიტინგს სანახევროდ მაინც, მაგრამ წასულია ადამიანი და იქიდან მართვა არ შეიძლება. ეს პროცესები კარგი იყო ნაცმოძრაობისთვის.

***– რა თვალსაზრისით?***

– გამოჩნდა, რომ შიგნით დემოკრატიული მმართველობაა და ის წივილ-კივილი, რომ ნაცმოძრაობას არაფორმალურად მართავენ, შიგნით დიქტატურაა, არც ეგრეა საქმე. გაირკვა, რომ შიგნით დემოკრატიაა.

***– ანუ თქვენ იწონებთ ბოკერიას გუნდის გადაწყვეტილებას, რომ უნდა შევიდნენ პარლამენტში?***

– რა თქმა უნდა, უნდა შევიდნენ! რაზეა საუბარი! რომ არ შესულიყვნენ, რას იზამდნენ ან ისინი, ან მათი ამომრჩევლები?! საპარლამენტო ტრიბუნა უნდა გამოიყენონ!

***– მიუხედავად იმისა, რომ ვერაფერს შეცვლიან?***

– ყველა ვარიანტში უნდა გამოიყენონ, შეცვლიან თუ ვერ შეცვლიან!

***– თუკი არ შევიდოდნენ, ამით დასრულებოდა ნაციონალური მოძრაობის მოღვაწეობა პოლიტიკურ ასპარეზზე?***

– თუკი არ შევიდოდნენ პარლამენტში, დიდი იყო შანსი მარგინალიზაციის.

***– დანარჩენ ოპოზიციაზე რას იტყვით? დაშლის პროცესი მიმდინარეობს, ბევრი მათგანი პოლიტიკიდან მიდის. რატომ სუფთავდება პოლიტიკური ველი?***

– ძალიან სამწუხაროა. ფაქტია, რომ წნეხს ვერ გაუძლეს. განსაკუთრებით ცუდია ის, რაც ხდება ალასანიას პარტიაში. პარტიამ ერთ წაგებას ვერ გაუძლო და პრაქტიკულად დაიშალა. ზოგი მთავრობაში გარბის და ზოგი კიდევ სხვაგან.

მე მათზე უფრო ვბრაზობ, ვინც მთავრობაში გარბის. როგორც ჩანს, დიდი ხანი ითმენდნენ და ბოლოს ველარ მოითმინეს, უცებ „მოინანიეს ცოდვები“, როგორც ჩანს, და ახლა მთავრობაში უნდათ დაბრუნება. ამ სიტუაციაში დასაფასებელია რესპუბლიკური პარტია. როგორც პარტია, ის კიდევ ერთხელ გადარჩა.

***– წაგებაც ღირსეულად აღიარეს.***

– რა თქმა უნდა, წაგებაც ღირსეულად აღიარეს. არ დაწყებულა მცდელობა, ზოგი მთავრობაში გაქცეულიყო და ზოგიც კიდევ სხვაგან. ასე რომ, დასაფასებელი პარტიაა, ყველაფრის მიუხედავად. მათ უამრავი პრობლემა აქვთ, ფაქტია, ხალხთან ლაპარაკი დღემდე ვერ ისწავლეს, მაგრამ მაინც დასაფასებელია. პარტია ამდენი ხანია არსებობს და არც ამ წაგებას შეუშინდა.

***– შექმნიან პოლიტიკურ ამინდს არასაპარლამენტო ველზე?***

– შექმნიან, იმიტომ, რომ მათ ჰყავთ ჭკვიანი ადამიანები და ეს არის ყველაზე დასაფასებელი პოლიტიკაში.

***– თუკი საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს „ქართული ოცნება“, ეს სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს ხომ არ შექმნის ქვეყანაში?***

– კრიზისს მიიღებს თავად „ოცნება“! პოლიტიკური ძალა, რომელიც ყველაფერს მართავს ერთპიროვნულად, არავის ჭკუას არ ეკითხება და აკლია არათუ გამოცდილი პოლიტიკოსები, ჭკვიანი ხალხიც აკლია. მე უკვე იმდენი სისულელე მოვისმინე მათი ახალი სახეებისგან, რომ მეცინა თუ მეტირა, აღარ ვიცოდი.

***– ვინ იქნება პარლამენტის თავმჯდომარე, ვოლსკი თუ კობახიძე?***

– ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ორივენი ახმოვანებენ იმას, რაც აწყობს უმრავლესობას და, რაც მთავარია, ბიძინა ივანიშვილს!

# სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღებ პარტიათა რაოდენობა 20-მდე იზრდება

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ე.წ. კვალიფიციური სუბიექტი 20 პარტია ხდება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას მიიღებს.



ეს არის 11 პარტია, რომელიც საბიუჯეტო თანხებს ახლაც იღებს და მათ, როგორც კვალიფიციური სუბიექტი, 9 ახალი პარტია დაემატება.

კანონის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას ის პარტია იღებს, რომელიც არჩევნებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა და მან ან საარჩევნო ბლოკმა ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხმების 3% ან 3%-ზე მეტი მიიღო.

საბიუჯეტო დაფინანსების სახით გამოყოფილი თანხა შედგება საბაზო ნაწილის, პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრისათვის გამოყოფილი დანამატისა და არჩევნებზე მიღებული ხმების რაოდენობის კომპონენტისგან.

საკუთრივ საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში 300.000 ლარია. აღნიშნული თანხა ორმაგდება იმ პარტიისა და ბლოკისთვის, რომელიც არჩევნებში ხმების 6%-ს ან მეტს მიიღებს.

საბაზო დაფინანსებას ემატება თანხა, რომელიც ითვლება პროპორციული სისტემით არჩეული დეპუტატების რაოდენობისა და არჩევნებში მიღებული ხმების ოდენობის მიხედვით. გარდა ამისა, დამატებით 300.000 ლარს იღებს პარტია, რომლის წევრებიც პარლამენტში ფრაქციის სახით არიან წარმოდგენილი.

ამჟამად დაფინანსებას 11 პარტია იღებს და კვალიფიციური სუბიექტის სტატუსსა და დაფინანსებას 11-ვე ინარჩუნებს. ეს პარტიებია:

„ქართული ოცნება“, კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, ნაციონალური მოძრაობა, ქრისტიან-კონსერვატიული პარტია, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი და ლეიბორისტული პარტია.

აღნიშნული პარტიებიდან ის სუბიექტები, რომელთაც 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმების 3%-ზე ნაკლები მიიღეს, დაფინანსებას 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე შეინარჩუნებენ.

საბიუჯეტო დაფინანსების მიმღებ პარტიებს ემატებიან საქართველოს პატრიოტთა ალიანსთან ბლოკში შემავალი პარტიები: ტრადიციონალისტები, თავისუფალი საქართველო, თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა, საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა და ახალი ქრისტიან-დემოკრატები.

კვალიფიციური სუბიექტი ხდება ბლოკ ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიულ მოძრაობაში შემავალი პარტია დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო და ნაციონალურ მოძრაობასთან ბლოკში მყოფი ევროპული საქართველო.

8 ოქტომბრის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, საბიუჯეტო დაფინანსების მიმღები ხდება პაატა ბურჭულაძის სახელწიფო ხალხისთვის და გიორგი ვაშაძის ახალი საქართველო.

პარტია იღებს დანამატს საბაზო დაფინანსების 30%-ის ოდენობით, თუ პარტიული სიის ყოველ მომდევნო ათეულში, ერთიმეორისგან განსხვავებული სქესი სულ მცირე 30%-ით არის წარმოდგენილი.

ეს წესი პარტიული სიის შედგენისას ლეიბორისტებმა, ნინო ბურჯანაძის გაერთიანებამ და თავისუფალმა დემოკრატებმა გაითვალისწინეს.

პარტიების დაფინანსების ოდენობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით განისაზღვრება.

**ინტერპრესნიუსი**

# ალექსი პეტრიაშვილი ყოფილ თანაგუნდელებზე: „ცივი წყალი ბევრი მოდის



– ცივი წყალი ძალიან ბევრი მოდის, – ასე უპასუხა თავისუფალი დემოკრატების ყოფილმა წევრმა ალექსი პეტრიაშვილმა მისი ყოფილი თანაგუნდელების უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ მან პარტია ლიდერებთან შეუთანხმებლად დატოვა.

როგორც პეტრიაშვილმა აღნიშნა, მან უკვე განმარტა, თუ რატომ წავიდა პარტიიდან. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას, მთავრობაში კონკრეტული პოსტის შეთავაზებას ალექსი პეტრიაშვილი უარყოფს.

– არავითარი შეხვედრა არ მქონია და არც არანაირი შემოთავაზება არ მაქვს, – განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

თავისუფალი დემოკრატების ყოფილმა წევრმა ზურაბ აბაშიძემ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ალექსი პეტრიაშვილს პარტიის დატოვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მათთან ერთად არ მიუღია და ამიტომ მისი განცხადება გაუკვირდა.

– არც ირაკლის და არც მე ერთმანეთის გარეშე არანაირი გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ჩვენ ერთად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, ირაკლიმ პირველმა გააჟღერა თავისი მომავალი საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილება და შემდეგ ჩვენ.

რაც შეეხება ალექსი პეტრიაშვილს, მას გადაწყვეტილება ჩვენთან ერთად არ მიუღია. ეს ყველაფერი დაწერა ფეისბუქზე და იქედან გახდა ცნობილი ჩემთვისაც. რაც, რა თქმა უნდა, გამიკვირდა, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# მეგი გოცირიძე: „მიშას ვერავინ დაიკიდებს“

## „მეორე ტურებში საერთოდ თავზე გადაგვახევენ“

შორენა მარსაგიშვილი

უნდა შესულიყო თუ არა ნაცმოძრაობა პარლამენტში, რატომ არის ივანიშვილი ერის მამა, რას აპირებს სააკაშვილი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი **მეგი გოცირიძე** ესაუბრება.

***– თქვენ ერთ-ერთი იმათგანი იყავით, ვინც პარლამენტში ნაცმოძრაობის შესვლას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, თუმცა შემდეგ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდეთ. ან წინააღმდეგი რატომ იყავით, ან გაგებით რატომ მოეკიდეთ?***

– მოდით, უფრო წინა პერიოდიდან დავიწყებ. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, ბიძინა ივანიშვილმა დაუკვეთა სოციოლოგიური კვლევა. მერე თავად გამოაცხადა რაღაც პროცენტები. ერთიც და მეორეც საეჭვოდ დაემთხვა ცესკოს მიერ გამოცხადებულ შედეგებს. ჩვენ 8 ოქტომბერს უკვე შუადღეზე ვიცოდით, რომ ეს შედეგი დაიდებოდა.

ივანიშვილი ვანგა არაა, შედეგები წინასწარ გამოეცნო. ეს კაცი 10 საათზე იძინებს. 8 ოქტომბერსაც ამ დროს დაიძინა, ძილის წინ კი დაიბარა, 6 საათზე ვიღვიძებ და ამ დროს დაიწყოს ცესკომ ოქმების ატვირთვაო. ატვირთვა მართლაც ამ დროს დაიწყო. ასეთი რამე აქამდე არასდროს მომხდარა.

***– და ამიტომ ჩათვალეთ, რომ ცესკო ივანიშვილის გაღვიძებას დაელოდა?***

– ჩავთვალე კი არა, ასეა ეს. არც ის დაივიწყოთ, რომ ცესკოს თავმჯდომარემ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე იამაიკაზე დაისვენა.

ახლა რაც შეეხება ჩემ წინააღმდეგობას. მე ნაციონალების პარლამენტში შესვლას კი არ ვეწინააღმდეგებოდი, ვითხოვდი, რომ ჯერ არსებულ დარღვევებზე მოგვეხდინა რეაგირება. ის უბნები, სადაც ვიგებდით, დაარბიეს. კომისიის წევრები სადღაც ჩაკეტეს, უცხოელ დამკვირვებლებს სცემეს. ნამდვილი პაპუასების შემოსევა იყო.

ნაციონალური მოძრაობის ყველა ლიდერმა აღიარა, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. ამ ფონზე აუცილებელი იყო, რომ შედეგების ხელახალი გადათვლა მოგვეთხოვა. ამ შედეგით არც პარლამენტში შესვლა არაა მიზანშეწონილი და არც მეორე ტურში მონაწილეობა. ახლავე ვამბობ, რომ მეორე ტურებში საერთოდ თავზე გადაგვახევენ.

***– დარწმუნებული ხართ, რომ ხელახალი გადათვლის შემდეგ სხვა შედეგი დადგებოდა?***

– ეჭვიც არ მეპარება. ნაციონალურ მოძრაობას 27%-ზე მეტი უჭერს მხარს. პირველი ტურის შედეგების დასაცავად რომ გვებრძოლა, მეორე ტურში ხალხს იმედი გაუჩნდებოდა და ჩვენი შანსებიც გაიზრდებოდა.

***– საბრძოლველად ხომ მიხვედით ცესკოსთან არჩევნების ღამეს, რატომ არაფერი შეიცვალა?***

– იმიტომ, რომ ჩვენ ბოლომდე არ ვიბრძოლეთ. ჩვენ არ გვინდოდა არეულობა, მაგრამ ამ შედეგების დასაცავად უამრავი სხვა ხერხი არსებობდა. პარტიამ სხვანაირად გადაწყვიტა და 27 კაცით შედიან პარლამენტში. ჩემი მეგობრების გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, მაგრამ მას არ ვიზიარებ.

***– თქვენი მეგობრები პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილებას იმით ხსნიან, რომ არ სურთ დიქტატურის გაფორმება. თინა ხიდაშელი ვარაუდობს, რომ უმცირესობაში მყოფი ნაცმოძრაობა საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე „ოცნებას“ დაჯაბნის.***

– ნერვები ისედაც დაწყვეტაზე მაქვს და ამ ქალს რაღას მიხსენებთ? ქალბატონ რესპუბლიკელს ვურჩევ, შეგვეშვას და თავისი ვარაუდები 22.000 ამომრჩეველს გაუზიაროს. მის პარტიას მხოლოდ ამ რაოდენობის ამომრჩეველმა მისცა ხმა. მაგათი ამბავი დამთავრებულია.

ნაციონალური მოძრაობის შანსებს რაც შეეხება, 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში 54 დეპუტატი გვყავდა. ამ 54 დეპუტატმა ვერანაირად ვერ შეუშალა ხელი ივანიშვილის ვნებას – საყდრისი აეფეთქებინა. საინტერესოა, 27 კაცი რას მოიმოქმედებს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ არაფერი გამოუვათ?***

– ამას არ ვფიქრობ და ისიც კარგად მესმის, რომ საერთაშორისო ტრიბუნაზე დასადგომად პარლამენტში შესვლა აუცილებელი იყო. საერთაშორისო ტრიბუნაზე ნაციონალების გამოსვლა პირველ რიგში ქვეყნის ინტერესებშია.

***– ქვეყნის ინტერესებში რატომ უნდა იყოს საერთაშორისო ასპარეზზე ნაციონალების გამოსვლა?***

– აბა ვინ უნდა გაუშვათ საერთაშორისო ორგანიზაციებში? გადახედეთ ერთი დეპუტატების ახალ შემადგენლობას, პარლამენტი კი არა, კრემლის და ეფ-ეს-ბეს კანტორაა. მე ეს ყველაფერი მესმის, მაგრამ ვრჩები ჩემ აზრზე – ჯერ შიდა ბრძოლები უნდა მოიგო და მერე გარეთაც დიდ წარმატებას მოიპოვებ. უნდა გვებრძოლა და პარლამენტში 27-ის ნაცვლად შესაძლოა 47 დეპუტატი გაგვეყვანა.

***– თქვენი აზრით, რატომ ჩამოუშვა ნაციონალურმა მოძრაობამ ხელები?***

– ვინ გითხრათ, რომ ხელები ჩამოუშვა? მსგავსი არაფერი ხდება.

***– თავად არ ამბობთ, უნდა გვებრძოლაო?***

– დიახ, უნდა გვებრძოლა და მანამდე უნდა მიგვეღწია მიზნისთვის, სანამ მეორე ტურებში მივიღებდით მონაწილეობას. პარტიის ზოგიერთი ლიდერი ამბობს, რომ შედეგების გადახედვა მეორე ტურის შემდეგ მოხდება.

2003 წელს, როცა ჩვენ ვარდების რევოლუცია მოვაწყვეთ, უდიდესი დანაშაული განხორციელდა. ჩვენ მხოლოდ პროპორციული შედეგები გავაუქმეთ, მაჟორიტარული კი დავტოვეთ.

***– ამასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს კითხვები. ისე, რატომ არ გააუქმეთ მაჟორიტარული შედეგები?***

– შევარდნაძის კვოტით გასული მაჟორიტარები ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელებაწეულები ჩაგვბარდნენ. ჩვენც მოვტყუვდით და ეს ხალხი 2012 წლამდე ვათრიეთ. 2012 წლის 1 ოქტომბერს ისინი უკვე ივანიშვილს ჩაბარდნენ ხელებაწეულები. აი, ამან დააქცია და დაანგრია ქვეყანა. ამ მაჟორიტარებმა მოისყიდეს ხალხი. მაშინ რომ მაჟორიტარული შედეგები გაგვეუქმებინა, ეს პარაზიტებიც გაქრებოდნენ პოლიტიკიდან.

ამ შეცდომებმა მიგვიყვანა აქამდე და ახლაც შეცდომა დავუშვით, პარლამენტში 27 კაცით შესვლას რომ დავთანხმდით.

***– თქვით, რომ ეს 27 კაცი ვერაფერს გააწყობს, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს ხომ მაინც შექმნიან.***

– საზოგადოებრივი აზრი უკვე შექმნილია. მოსახლეობის ნახევარზე მეტს არც ნაცი უნდა, არც ქოცი და არც სხვა ვინმე. ქვეყანაში სრული ნიჰილიზმია. ეს ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება. აგერ ნახავთ, პარლამენტი კანონებსაც კი ვეღარ მიიღებს.



### „კანონები ვინ უნდა დაწეროს, თავგასიებულმა მოჭიდავეებმა?!“

***– რატომ ვეღარ მიიღებს პარლამენტი კანონებს?***

– კანონები ვინ უნდა მიიღოს, ხიდაშელი და უსუფაშვილი იყვნენ იქ და მაგათ დროს არ იწერებოდა კანონები და ამ თავგასიებულმა მოჭიდავეებმა უნდა დაწერონ კანონი? ან ფეხბურთელებმა, ავტოგოლების გატანის მეტი რომ არაფერი იციან? მთელი 4 წელი ივანიშვილი სულ იმას იძახდა, უსუფაშვილის გარდა, კანონის დამწერი პარლამენტში კაცი არააო და ახლა ხომ ნახეთ, როგორი ხალხი შეყარა. ასეთი ხალხი იმიტომ შეყარა, რომ დიქტატურის გაფორმებაში ხელი არ შეეშალა. ჰოდა, გვეყოლება დიქტატორი ბიძინა.

***– აქამდე ივანიშვილს ხიხოდ მოიხსენიებდით, არჩევნების შემდეგ კი ფეისბუქზე დაწერეთ, ხიხო კი არა, ილია ყოფილაო. რატომ შეიცვალეთ აზრი?***

– ჩემმა ამ სტატუსმა ქოცებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მგონი, არჩევნების მოგება არ გახარებიათ ასე, როგორც ჩემი სტატუსი. ახლაც გიმეორებთ, რომ ეს კაცი ერის მამა და ილიაა. აბა სხვანაირად როგორ ავხსნა, რომ მთელ ხალხს ლანძღავდა და ყველამ მაგას დაუჭირა მხარი. ამბობდა, ანალიზის უნარი არა გაქვთ და რაკი ერის მამა ვარ, უნდა აღგზარდოთო.

***– მოდით, ერის მამას შევეშვათ და ის გვითხარით, სააკაშვილთან დაკავშირებით რა ხდება?***

– რა უნდა ხდებოდეს, ყველაფერი კარგად არის და ის ძალიან მალე დაბრუნდება საქართველოში.

***– პარლამენტში ნაციონალების შესვლას ისიც ეწინააღმდეგებოდა. პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ „ოცნებამ“ სიხარულით აღნიშნა, ნაცებმა სააკაშვილი ფეხებზე დაიკიდესო. ამაზე რას იტყვით?***

– მიშას ვერავინ დაიკიდებს. ვისაც დაავიწყდა, შევახსენებ, რომ მან საქართველო წუმპიდან ამოიყვანა და სახელმწიფოდ აქცია.

# შალვა ხუციშვილი: „ვინც სპეცრაზმს წინააღმდეგობას გაუწევს, ის მიიღებს იმას, რაც მიიღეს“

## მარნეულში არჩევნებთან დაკავშირებით 6 პირი დააკავეს

გუშინ, 13 ოქტომბერს, დილით, შსს-ს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 8 ოქტომბერს, მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში, 48-ე საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კომისიისთვის ხელის შეშლის და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტებზე 6 პირი დააკავეს.



როგორც შსს-ში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე და 353-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე დაკავებულები არიან შემდეგი პირები:

1997 წელს დაბადებული რ.ზ, 1994 წელს დაბადებული მ.ნ, 1996 წელს დაბადებული ბ.მ, 1996 წელს დაბადებული ჰ.კ, 1992 წელს დაბადებული ვ.კ და 1993 წელს დაბადებული ა.ნ.

ადვოკატ დავით კაკოიშვილის ინფორმაციით, მარნეულის ინციდენტის საქმეზე დაკავებული მისი დაცვის ქვეშ მყოფი 4 პირიდან 3 ნაცემია.

ამის შესახებ ადვოკატმა მოდულის შენობიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი ინფორმაციით, დაკავებულები ბრალს არ აღიარებენ, ვინაიდან მათ კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაუდენიათ.

– 4 დაკავებულს შევხვდი. აქედან 3 ნაცემია. პოლიციის განყოფილებაში, სადაც ისინი მიიყვანეს, დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას. მათგან ითხოვდნენ აღიარებას, თითქოს რეალურად ჩაიდინეს ის ქმედება, რომელსაც სამართალდამცველები ედავებიან. მას შემდეგ, რაც მათ ვერ მიიღეს სასურველი ინფორმაცია, მათ სცემეს. 3 მათგანს აღენიშნება დაზიანებები, მათ შორის სახის არეში. სახალხო დამცველის წარმომადგენლები შემოსული იყვნენ და დააფიქსირეს აღნიშნული დარღვევა, – განაცხადა ადვოკატმა.

### ადვოკატი: „3 დაკავებული ნაცემია“

შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი ამბობს, რომ ყიზილაჯლოში მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირების დაკავება მოხდა კანონის ფარგლებში, სასამართლოს განჩინების საფუძველზე.

მისი თქმით, ეს პირები არიან იდენტიფიცრებულები დანაშაულთან და ამის შესახებ არსებობს უტყუარი ინფორმაციები.

– არსებობს სატელეფონო გასაუბრების ოქმები, რომ იზოლატორში გადაყვანის შემდეგ, კანონის შესაბამისად, ოთხსაათიან ვადაში ყველა ოჯახი გააფრთხილეს ამ პირების დაკავებისა და ადგილსამყოფელის შესახებ და ჩვენ ეს სატელეფონო საუბრები შეგვიძლია გამოვაქვეყნოთ.

ეს პირები არიან იდენტიფიცრებულები დანაშაულთან და ამის შესახებ არსებობს უტყუარი ინფორმაციები. გარდა ამისა, ერთ-ერთმა პირმა პოლიციას დაკავებისას გაუწია ფიზიკური წინააღმდეგობა. ადგილი ჰქონდა თავდასხმას პოლიციელებზე. ასევე იყო სხვა ტიპის წინააღმდეგობებიც, – განაცხადა ხუციშვილმა.

მისი თქმით, შსს-ს არ აინტერესებს, ვინ რომელი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერია, მთავარია, რომ ვინც კანონი დაარღვია, ყველამ პასუხი აგოს.

– ჩვენ არ დავაკავებდით ამ ადამიანებს მეორე ტურამდე ერთი დღით ადრე, რადგან ეს შეფასდებოდა პოლიტიკური ნიშნით, ანუ დაკავება განხორციელდა ზუსტად მაშინ, როცა ყველაზე მინიმალურად შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული პოლიტიკასთან, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ.

მისი თქმით, სპეცრაზმი გამოყენებული იყო იმიტომ, რომ ყიზილაჯლოში არსებობდა რისკი პოლიციელების სიცოცხლესთან დაკავშირებით.

– ამ დროს, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, გამოიყენება სპეციალური დანიშნულების რაზმი და ვინც მათ წინააღმდეგობას გაუწევს, ის მიიღებს იმას, რაც მიიღეს, – განაცხადა ხუციშვილმა.

# ანი მიროტაძე „ოცნებას“ და თავისუფალ დემოკრატებს

## ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებს

ეროვნული ფორუმის წევრი ანი მიროტაძე „ქართულ ოცნებას“ ჭიათურაში მაჟორიტარული არჩევნების მოსაგებად სახელისუფლებო რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებს.



გარდა ამისა, როგორც ანი მიროტაძემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები დაფიქსირდა თავისუფალი დემოკრატების წევრების მხრიდანაც, რომლებმაც ჯორჯიან მანგანეზის თანხები გამოიყენეს.

– ჩემი დამარცხება ოჯახების მოსყიდვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ სახელისუფლო სისტემამ, ე.წ. მარგანეცის მაფიამ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე და განსაკუთრებით არჩევნების ღამეს, საკუთარი კოორდინატორების და აგიგატორების მონაწილეობით დაარიგეს გარკვეული რაოდენობის თანხები და მხოლოდ ასე მოიგეს არჩევნები.

„ქართული ოცნების“ კანდიდატის სულხან მახათაძის უკან დგას ბიძინა ივანიშვილის და, მაგული ივანიშვილი და მთელი სახელისუფლო რესურსი, – განაცხადა ანი მიროტაძემ.

* * *

ცნობისათვის: ჭიათურის მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტურში ერთმანეთს „ქართული ოცნებიდან“ სულხან მახათაძე და თავისუფალი დემოკრატების კანდიდატი, თეიმურაზ გაფრინდაშვილი დაუპირისპირდებიან. ანი მიტორაძე პირველ ტურში მათი კონკურტენტი იყო.

მედიანიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ბიძინა გეგიძე: „თვალს არ ვუჯერებდი, როცა ნაციონალების პროცენტი ვნახე“

ნათია ხურცილავა

ყოფილი მორაგბე **ბიძინა გეგიძე** „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატია ვაკის მე-2 მაჟორიტარულ ოლქში. როგორც საქართველოს ბევრ მაჟორიტარულ ოლქში, ვაკის მე-2 საარჩევნო ოლქშიც არჩევნების მეორე ტურია.

***— ბატონო ბიძინა, რატომ დაგჭირდათ ვაკეში არჩევნების მეორე ტური, რატომ ვერ მოიგეთ პირველივე ტურში?***

— ასე გადაწყვიტა მისმა უდიდებულესობა ამომრჩეველმა.

***— მოელოდით მოვლენების ასე განვითარებას?***

— არა, ვფიქრობდი, რომ პირველივე ტურში გავიმარჯვებდი, რომ გითხრათ, მეორე ტური გამიხარდა, ხომ არ დამიჯერებთ, მაგრამ სწორედ ეს არის საინტერესო და იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები ჩატარდა.

***— რას უკავშირებთ იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა კვლავ მეორე ადგილზეა და ის რჩება მთავარი ოპოზიციურ ძალად. ელოდით მოვლენების ასე განვითარებას?***

— არა, პირადად მე არ ველოდი, რომ ნაციონალური მოძრაობა კვლავ შევიდოდა პარლამენტში, არათუ მეორე ადგილზე იქნებოდა. თუმცა, ეს არჩევანი გააკეთეს იმ ადამიანებმა, ვინც გააკეთეს და ჩვენ პატივი უნდა ვცეთ, სხვა რა გზა დაგვრჩენია. თვალს არ ვუჯერებდი, როდესაც მათი პროცენტული მაჩვენებელი ვნახე. როგორც ჩანს, ადამიანები მალე ივიწყებენ, მალე ბრაზდებიან და ეს არის ამ შედეგების მიზეზიც. როგორც ჩანს, სურვილი იყო მათი მხრიდან, რომ ბოლომდე მიეყვანათ თავიანთი გეგმა, მაგრამ ამის შესაძლებლობას მათ არც სახელმწიფო მისცემდა და, შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.



***— რას გულისხმობთ, პარლამენტში შესვლას?***

— დიახ. ეს გადაწყვეტილება არის ერთადერთი რაციონალური გადაწყვეტილება, მე მიხარია თუ არ მიხარია. ისინი პარლამენტში შევლენ და მომავალი გვიჩვენებს, როგორი იქნება თანამშრომლობა.

***— როგორი წარმოგიდგენიათ თანამშრომლობა ნაციონალურ მოძრაობასა და, მაგალითად, თქვენ შორის, თუ პარლამენტში შეხვალთ?***

— წარმომიდგენია ეს თანამშრომლობა მათთან, მაგრამ ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ნაბიჯებს გადადგამენ ისინი. მე მახსოვს კარგად, როდესაც ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში იყო, როგორ აცხადებდა, რომ ოპოზიცია არ არის კონსტრუქციული და არის ქვეყნის მოღალატე. ახლა ვნახავთ ჩვენც, რამდენად იქნებიან ისინი კონსტრუქციულები. ეს მხოლოდ მათ არჩევანზეა დამოკიდებული.

***— წინასაარჩევნო კამპანიაში კორექტივებს შეიტანთ?***

— მე მეორე ტურისთვის ვემზადები, მაგრამ სტრატეგიული ცვლილება კამპანიაში არ გვექნება. შეიძლება ტაქტიკაში გაჩნდეს ახალი ნიუანსები ზოგადად. დარწმუნებული ვარ, რომ 8 ოქტომბრის გამარჯვების გაგრძელება იქნება მეორე ტური ყველა ოლქში. ეს განწყობა წინასწარ უკვე ჩანს.

***— თუ პარლამენტში შეხვალთ, როგორი დეპუტატი იქნებით — თუ განსხვავებული პოზიცია გექნათ, ღიად დააფიქსირებთ მას, თუ გუნდს გაუწევთ ანგარიშს?***

— ჩემი პოზიცია ამა თუ იმ საკითხზე მექნება, მაგრამ გუნდურობა ჩემთვის უცხო არ არის, ამიტომ გუნდურობის პრინციპიდან გამომდინარე მივიღებ გადაწყვეტილებასაც.

***— არის საუბარი, რომ თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება „ქართულ ოცნებას“, პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნებს გააუქმებს. ამ შემთხვევაში თქვენი პოზიცია როგორი იქნება?***

— ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე უფრო ფართო დისკუსია უნდა გაიმართოს ქვეყანაში და გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ საერთო საზოგადოებრივი კონსენსუსის შედეგად.

# კობა კობალაძე: „პირველ ტურში რომ ვერ გავიმარჯვე, ეს ტრაგედია არ არის“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ გლდანის მე-20 ოლქის მაჟორიტარი კანდიდატი **კობა კობალაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ არჩევნების მეორე ტური გახდა საჭირო, რადგან არჩევნები კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდა.

***— ბატონო კობა, მეორე ტურის საარჩევნო კამპანიაში შეცვლით რამეს? როგორი კამპანია გექნებათ?***

— წყნარი და კონკურენტუნარიანი.

***— რატომ ვერ გაიმარჯვეთ პირველივე ტურში?***

— არაფერი ტრაგედია ამაში არ არის, პირიქით, ეს არის დემოკრატიის ნიშანი. ვერ გავიმარჯვე იმიტომ, რომ იყო ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემო, როგორც ეს ხდება სხვა ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში. ასევე იყო საკმაოდ მაღალი 50%-იანი ბარიერი. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ ძალიან ბევრ საარჩევნო ოლქში არის მეორე ტური.





***— ნაციონალური მოძრაობის ეს მაჩვენებელი რამ განაპირობა?***

— გვინდა თუ არ გვინდა, ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი. ამას ემატება ის პასიური ფონი გულშემატკივრების, რომლებმაც სახლში დარჩენა ამჯობინეს. ბევრს ჰქონდა ამბიცია, რომ ის არის მთავარი პოლიტიკური ძალა, რამაც გამოიწვია ელექტორატის გაბნევა სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა, რაც მოხდა, ეს არის ხალხის, ამომრჩევლის პოზიცია და ჩვენ ვალდებული ვართ, რომ ამ პოზიციას პატივი ვცეთ.

***— ბატონო კობა, უკვე გამოითქვა მოსაზრება, რომ შეიძლება ნატოს, ზოგადად დასავლეთის საწინააღმდეგო პოზიციები მოძლიერდეს. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხზე?***

— ჩვენს ქვეყანას ნათლად აქვს თავისი ევროატლანტიკური კურსი და მიმართულება დაფიქსირებული და მას ვერაფერი შეცვლის. ეს განაცხადი უკვე ფართოდ არის გაკეთებული. შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა იყოს, მაგრამ ქვეყნის განვითარების სტრატეგია არის სწორი და მიზანმიმართული. სახელმწიფოს პოზიცია ქვეყნის საგარეო ვექტორებთან დაკავშირებით მკვეთრად არის გამოხატული.

## ზურაბ ჭიაბერაშვილი: „ლარის კიდევ უფრო მეტ გაუფასურებას უნდა ველოდოთ“





ნაციონალური მოძრაობის საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, ლარის გაუფასურება, გარდა მავნებლური პოლიტიკისა, ქვეყანაში არსებულმა არანორმალურმა მდგომარეობამ გამოიწვია.

მისივე განცხადებით, 4 წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის მთავრობის მიერ გატარებულმა მავნებლურმა პოლიტიკამ ქვეყნის გაღარიბება გამოიწვია.

— 8 ოქტომბრის არჩევნების წინ ეროვნული ბანკი ხელოვნურად აჩერებდა ლარის გაუფასურებას და ამისათვის რეზერვებიდან სექტემბერ-ოქტომბერში 160 მლნ ლარი დახარჯა, თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს მდგომარეობას არ შველის. პირიქით, გრძელვადიანად კიდევ უფრო მაღალი რისკების წინაშე გვაყენებს.

ამ დღეებში ლარის გაუფასურება, მავნებლური პოლიტიკის გარდა, არის ქართული ეკონომიკის რეაქცია იმ არანორმალურ მდგომარეობაზე, რაც ქვეყანაშია: ძალადობრივ გარემოში მოსყიდვებითა და დაშინებებით ჩატარებული არათავისუფალი არჩევნების შედეგად ივანიშვილი ახდენს ძალაუფლების სრულ კონცენტრაციას მის ხელში, რაც კიდევ უფრო დაბლა სწევს საქართველოს მიმზიდველობას ინვესტორთა თვალში, — განაცხადა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

მისივე თქმით, მიმდინარე თვის განმავლობაში, საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურების დასრულებამდე ეროვნული ბანკი, ივანიშვილის მოთხოვნით, სავარაუდოდ გააგრძელებს რეზერვების ფლანგვას, რათა ხელოვნურად დაიჭიროს ლარი.

— მთავრობა ვერ ელევა პრემიებს, დანამატებს, კომფორტსა და ფუფუნებას, რომ მოახდინოს ბიუჯეტის სეკვესტრი და შეამსუბუქოს დაწოლა ლარზე.

„ქართული ოცნების“ მიერ პარლამენტში წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი 2017 წლისთვის სიგნალია, რომ მთავრობა არაფრის შეცვლას თავის მავნებლურ ეკონომიკურ პოლიტიკაში არ აპირებს, რაც ბიზნესის განწყობაზე უარყოფითად აისახება და, შესაბამისად, მოქმედებს ლარზე.

მიმდინარე თვის განმავლობაში, საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურების დასრულებამდე ეროვნული ბანკი, ივანიშვილის მოთხოვნით, სავარაუდოდ, გააგრძელებს რეზერვების ფლანგვას, რათა ხელოვნურად დაიჭიროს ლარი. თუმცა ამით იგი მხოლოდ პრობლემის გადავადებას ახდენს და შემდგომ, თუ ბიუჯეტის სეკვესტრი არ განხორციელდა და დეფიციტური ხარჯვა არ შეჩერდა, ლარის კიდევ უფრო მეტ გაუფასურებას უნდა ველოდოთ, — განმარტა ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ნოდარ ხადური: „მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება“





საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ოპონენტებს მოუწოდებს, ოდნავი ობიექტურობა შეინარჩუნონ. ხადური ოპონენტებს ასევე ურჩევს, რომ საკუთარი პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად ნუ გააკეთებენ ისეთ განცხადებას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მათ ავტორიტეტს.

ასე გამოეხმაურა საქართველოს ფინანსთა მინისტრი ჟურნალისტის შეკითხვას, რამდენად მოქმედებს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ლარის გაცვლით კურსზე, რაზეც ოპონენტები საუბრობენ.

— თუ თქვენ გადახედავთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მათ შორის სავალუტო ფონდის დასკვნებს და პროგნოზებს, რომლებიც მათ აქვთ, ეს პროგნოზები რეალისტურია და არავის დაუყენებია ისინი ეჭვქვეშ.

მომავალი წელი გაცილებით უკეთესი იქნება. წელსაც უფრო მეტ ეკონომიკურ ზრდას ველოდებით, ვიდრე ეს თავიდან იყო დაგეგმილი. ამავე დროს ისინიც, ეროვნული ბანკიც და ყველა ვთანხმდებით, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბიუჯეტის ხარჯებს არ გამოუწვევია და არც შეეძლო გამოეწვია გაცვლით კურსზე ზემოქმედება, ამიტომ მე მოვუწოდებ ოპონენტებს, რომ ოდნავი ობიექტურობა შეინარჩუნონ და საკუთარი პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად ნუ გააკეთებენ ისეთ განცხადებას, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მათ ავტორიტეტს, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, როგორია მისი პროგნოზი ლართან დაკავშირებით, ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ კონკრეტული პროგნოზების გაკეთება არ შეიძლება.

— საშუალოვადიან პერსპექტივაში ჩვენ ნამდვილად ველოდებით გაცვლითი კურსის დასტაბილურებასა და გამყარებას. ეს არის მოკლევადიანი რყევები, რაზეც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განცხადება გააკეთა, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების რაოდენობა სექტემბერში 5.6 მილიონი დოლარით შემცირდა



ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 2016 წლის სექტემბერში 100.2 მილიონი დოლარი (231.5 მილიონი ლარი) შეადგინა,

რაც 5.6 მილიონი დოლარით ნაკლებია აგვისტოს თვის (105.8 მილიონი დოლარი) მაჩვენებელზე და 11.6 მილიონი დოლარით მეტია 2015 წლის სექტემბრის ანალოგიურ მონაცემზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90.5 პროცენტი იმ 11 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ სექტემბერში 1 მილიონ დოლარს გადააჭარბა. იმავე 11 ქვეყანაზე გასული წლის სექტემბერში მთელი ფულადი გზავნილების 88.5 პროცენტი მოდიოდა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ფულადი გზავნილების ხვედრითი წილით ყველაზე მეტი გზავნილი რუსეთიდან (34.9%), აშშ-დან (12.2%), საბერძნეთიდან (10.8%) და იტალიიდან (10.0%) განხორციელდა. 11 ქვეყანას შორის არიან გერმანია, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, ისრაელი, უკრაინა და აზერბაიჯანი.

ეროვნული ბანკის ცნობით, 2016 წლის სექტემბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 15.3 მლნ აშშ დოლარი (35.5 მლნ ლარი) გადაიგზავნა, გასული წლის სექტემბერში დაფიქსირებული 13.8 მლნ აშშ დოლარის (33.1 მლნ ლარი) ნაცვლად.

**ინტერპრესნიუსი**

# ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ ყირიმის არჩევნები უკანონოდ ცნო

## პასე: „დონბასში არჩევნების ჩატარება შეუძლებელია“




ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ (პასე) როგორც დონბასში, ასევე ყირიმში შექმნილი მდგომარეობა განიხილა. პასეს დეპუტატმა ქრისტინა ზელენოვამ (ჩეხეთი) ამის თაობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა.

– დონბასის რუსების მიერ ოკუპირებულ ნაწილში ტერორმა და რეპრესიებმა დაისადგურა! ძალადობა დღისით-მზისით, ყველას თვალწინ ხდება, – თქვა ზელენოვამ.

ჩეხმა დეპუტატმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთ პირობებში არჩევნების ჩატარება შეუძლებელია.

– აუცილებელია არა უბრალოდ „არჩევნები,“ არამედ თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნები. დღეს ასეთი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია, – თქვა ზელენოვამ.

ჩეხმა დეპუტატმა თავის გამოსვლაში უდიდესი როლი დაუთმო იმ კოლოსალურ წნეხს, რასაც უკრაინა რუსებისგან განიცდის. მოსკოვი ნებისმიერი ხერხებით ცდილობს, უკრაინაში ახალი არეულობა გამოიწვიოს, საქმე კიდევ ერთ მაიდნამდე მიიყვანოს და უკრაინა გახლიჩოს. ზელენოვამ დასავლეთს მოუწოდა, უკრაინას მხარი უფრო აქტიურად დაუჭიროს.

– 1994 წელს ბუდაპეშტის მემორანდუმის შედეგად დასავლეთმა უკრაინას დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები მისცა. დადგა დრო, ეს საქმით დავამტკიცოთ, – განაცხადა მან.

უკრაინელებს აქტიურად დაუჭირეს მხარი ლიტველებმა. მათმა წარმომადგენელმა ვარეკისმა თქვა:

– უკრაინაში სიტუაცია რუსეთის გამოისობით დაიძაბა. ეს განაპირობა: რუსეთის პათოლოგიურმა მისწრაფებამ, რომ მას პატივი სცენ, ნოსტალგიამ სსრკ-ს მიმართ და იმპერიის ძალისმიერი გზით აღორძინების სურვილმა.

ამ სიტყვებს მქუხარე აპლოდისმენტები მოყვა.

რუსეთის ევროპელმა ლობისტებმა ამას ვერაფერი დაუპირისპირეს. ამის შემდეგ უკრაინის წარმომადგენელმა წარმოადგინა რეზოლუცია, რომელიც ყირიმში ჩატარებული არჩევნების უკანონოდ ცნობას ითვალისწინებს.

– რაკი უკრაინის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია განხორციელდა, ხოლო ყირიმში არჩევნები ოკუპაცია-ანექსიის პირობებში ჩატარდა, ისინი უკანონოა, – ნათქვამია რეზოლუციაში.

ზოგიერთმა ევროპელმა დეპუტატმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა. ერთ-ერთმა ისიც თქვა, ასეთი დადგენილებები ევროკავშირის გახლეჩვით დასრულდებაო, მაგრამ უმრავლესობამ ამას მხარი არ დაუჭირა.

პასემაც ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. მან რუსეთის სამხედრო აგრესიის ფაქტი აღიარა, ყირიმის არჩევნები კი უკანონოდ ცნო.


ქრისტინა ზელენოვა

ასევე მიღებულ იქნა დადგენილება დონბასის ოკუპირებულ ნაწილში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების შესახებ. რუსეთის მეგობრებმა გული იმითღა მოიოხეს, რომ უკრაინაში დემოკრატიული რეფორმების არარსებობაზე ალაპარაკდნენ.

– რუსეთმა აგრესია უნდა შეწყვიტოს, უკრაინამ კი რეფორმები გაატაროს, – ასეთია პასეს დეპუტატთა უმრავლესობის პოზიცია.

ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ავტორიტეტულმა საერთაშორისო სტრუქტურამ პირველად მიიღო დადგენილება რუსეთის აგრესიის აღიარებისა და რუსული ხიშტების ქვეშ ჩატარებული არჩევნების უკანონოდ ცნობის შესახებ.

– ეს უკრაინელთა დიდი გამარჯვებაა, – ასე აფასებს მომხდარს რადიო თავისუფლება.


## განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.


# ქერი და ლავროვი ერთმანეთს ლოზანაში შეხვდებიან



შედგა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ ქერისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის მორიგი სატელეფონო საუბარი.

ძირითადი თემა სირიაში შექმნილი ვითარება იყო. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს 15 ოქტომბერს ლოზანაში შეხვდებიან. ამ შეხვედრას საუდის არაბეთის და თურქეთის წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

განხილვის ძირითადი თემა სირიაში მშვიდობის აღდგენა იქნება.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პუტინი შეეცდება, ამერიკელებისგან მაქსიმალურად მეტ დათმობას მიაღწიოს. ობამა პასუხისმგებლობის აღებას ერიდება და რუსების წინააღმდეგ რადიკალური მოქმედებებისგან თავს იკავებს. შესაბამისად, უახლოეს პერიოდში სირიაში მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებაა მოსალოდნელი.

– გაძლიერდება ალეპოს დაბომბვა, აგრეთვე შეტევები პარტიზანების მიერ კონტროლირებად სხვა ქალაქებზე, – ვარაუდობს ბიბისი.

# სირიელი ტერორისტი საკანში ჩამოხრჩობილი იპოვეს



სირიის მოქალაქე ალ-ბაქრი, რომელიც გერმანიის კონტრდაზვერვამ დააკავა, საკანში ჩამოხრჩობილი იპოვეს.

არსებობდა ეჭვი, რომ ალ-ბაქრი ტერორისტი იყო.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

# ევროკავშირი რუსეთის მიმართ ახალი სანქციების შემოღებისთვის ემზადება



ევროპარლამენტის თავმჯდომარე მარტინ შულცმა განაცხადა, რომ რუსეთის აგრესიულობა უკვე ყოველგვარ ზღვარს გადადის.

საქმე მხოლოდ ყირიმის ანექსიასა და დონბასის ნაწილის ოკუპაციაში როდია. რუსეთი აპირებს, თავს მოახვიოს მთელ მსოფლიოს მშვიდობის საკუთარი სქემა და საამისოდ სამხედრო ძალის გამოყენებას აპირებს.

ევროპარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ევროპა რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციების შემოღებისთვის მზად უნდა იყოს. ესაა ერთადერთი საშუალება საამისოდ, რათა რუსებთან საომარი დაპირისპირება თავიდან იქნას აცილებული.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ავსტრალიაში ყვავმა პოლიციელებს ნარკოტიკები აპოვნინა

შტატში დასავლეთი ავსტრალია ყვავი პოლიციელებს დაეხმარა მეტამფეტამინის პაკეტის პოვნაში. ამის თაობაზე ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ფეისბუქში პოლიციის დეპარტამენტის გვერდზე განათავსეს.

მასში ნათქვამია, რომ პოლიციის ოფიცრები ავტოგასამართ სადგურზე გაჩერდნენ, სადაც მათ მომცრო ზომის შეკვრა აღმოაჩინეს, რომელშიც ნარკოტიკები იდო. პოლიციელებმა ადგილზე სათვალთვალო კამერების ჩანაწერების დათვალიერება დაიწყეს, რათა გაერკვიათ, თუ ვის დაუვარდა ნარკოტიკების შეკვრა მიწაზე.



როგორ აღმოჩნდა, მეტამფეტამინის შემცველი შეკვრა იქვე მდებარე სანაგვე ყუთიდან ყვავმა ამოიღო, რომელიც რაიმე სასუსნავს ეძებდა. პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აკრძალული ნივთიერება ამოიღეს. ინციდენტის გამოძიება გრძელდება.

ვიდეორგოლი, რომელზეც ასახულია, თუ როგორ ამოიღო ნაგვის ყუთიდან ნარკოტიკების შეკვრა ყვავმა, ერთ დღე-ღამეში 66 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**წვერსაპარსი PHILIPS**
**70 ლარად 150 ლარის ნაცვლად**



✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79. (უკანა მხარე)
579 885 996
ქ.ზესტაფონი, რუსთაველის №158



**30 ლარად 55 ლარის**
**უმაღლესი ხარისხის ელექტროლეიბები**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...
ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.
რეჟიმი: 2
ტემპერატურა: 45-55°; დაცულია გადახურებისგან



# მარილი შაკიკის წინააღმდეგ

შაკიკი ბევრ ადამიანს აწუხებს და ეს დაავადება სულაც არაა უმნიშვნელო, ის მთელი დღის განმავლობაში გახსენებთ თავს და გამუდმებით ცუდად ხართ. ამიტომ გირჩევთ, რომ მის სამკურნალოდ ამ მეთოდს მიმართოთ.

მარილი შაკიკისთვის – ამ შემთხვევაში უნდა გამოიყენო ჰიმალაის მარილის კრისტალი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე სავსეა მინერალებით, მის შემადგენლობაში 84 მინერალი და ელემენტია, რომელთა რაოდენობა (რაც მეცნიერებისთვისაა ცნობილი) 118 არის.

მარილი წარმატებულად მკურნალობს შაკიკს, აძლიერებს იმუნურ სისტემას, ორგანიზმს ენერგიით ავსებს, აბალანსებს სეროტოტნინის დონეს, ტუტისგან ათავისუფლებს სხეულს.

მისი გამოყენების წესი ძალიან მარტივია: ჰიმალაის მარილის კრისტალი მაღალი კონცენტრაციით შეურეთ ერთ ყლუპ ლიმონის წვენს და დალიეთ, უფრო კონკრეტულად კი, ნახევარი ლიმონის წვენს დაამატეთ 1 ჩ/კ მარილი.

❖ ❖ ❖



ადამიანები, რომლებიც მძაფრი თავის ტკივილით იტანჯებიან, იციან, რა არის ნამდვილი ტკივილი. ნამდვილი ტკივილი არის ის, როცა არაფრის კეთება აღარ შეგიძლია, თუნადაც უმნიშვნელო საქმის. ხოლო თუ ეს ტკივილი ქრონიკულ პრობლემად იქცევა, მაშინ შეიძლება ცხოვრებაც კი მოგბეზრდეთ.

თუ რეგულარულად იღებთ ტკივილგამაყუჩებლებს, მაშინ ალბათ იმასაც ხვდებით, რომ ეს მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის. თუნდაც იმიტომ, რომ ტკვილგამაყუჩებლებმა მიჩვევა იცის და უფრო მეტად აღრმავებს პრობლემას.

ამიტომ, გთავაზობთ ამ ტკივილის დასაამებლად ერთ მარტივ, ხალხურ მეთოდს, რომელიც პრობლემას სამ წუთში გადაგიჭრით.

თქვენ მხოლოდ ლიმონის წვენი, ლიმონის ცედრა და ცოტა ჰიმალაური მარილი დაგჭირდებათ. ეს მარილი ასევე ძალიან სასარგებლოა: იგი ორგანიზმში სეროტონინის დონეს ამაღლებს და აძლიერებს თქვენს იმუნურ სისტემას.

გამოწურეთ ორი ლიმონისგან წვენი და ლიმონის ცედრაში აურიეთ და დაამატეთ ორი სუფრის კოვზი მარილი. კარგად აურიეთ. მოათავსეთ ბლენდერში და ათქვიფეთ. დალიეთ საშუალო ჭიქით. რა თქმა უნდა გემო სასიამოვნო არ აქვს, მაგრამ სამაგიეროდ თავის ტკივილი ზუსტად სამ წუთში გაგივლით.

თუ ამ სასმელს მიიღებთ როგორც არაყს ყოველ დღე თითო პატარა ჭიქის სახით, ამ შემთხვევაში თავის ტკივილი ძალიან იშვიათად შეგაწუხებთ.

მკურნალობის ეს მეთოდი არ არის რეკომენდირებული მაღალი წნევის მქონე პირთათვის, რადგან მარილმა შესაძლოა წნევის აწევა გამოიწვიოს!

# ვენების მკურნალობა თაფლით და ნივრით

ვენების ვარიკოზული გაგანიერება ფართოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც უმეტესად ქირურგიულად მკურნალობენ.

მკურნალობა ოპერაციის გარეშეც შეიძლება, თუ ვენების სიგანე კანის ზედაპირზე არ აღემატება 5 მმ-ს, ვენური კვანძების დიამეტრი კი 6-7 მმ-ს.



თაფლისა და ნივრისგან მომზადებული საშუალება ააქტიურებს ვენის დრენაჟულ ფუნქციას, რაც უხდება როგორც თავად ვენებს, ისე მთელ ორგანიზმს. აიღეთ 250 გრამი გარჩეული, გახეხილი ნიორი და დაასხით 350 გრამი თაფლი, კარგად აურიეთ, დადგით 1 კვირით და მიიღეთ თითო სადილის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 40 წუთით ადრე. მკურნალობის კურსი 2 თვეა.

აძლიერებს და ვენურ ტონუსს ზრდის სვიის გირჩების ნახარშიც: 1 სადილის კოვზ დანაწევრებულ გირჩას უნდა დაასხათ 1 ჭიქა ადუღებული წყალი, 5 წუთით გაათბოთ წყლის აბაზანაში და მიიღოთ თითო ჭიქა დღეში 2-ჯერ, ჭამამდე. რაკი სვიას სუსტი ძილის მომგვრელი თვისება აქვს, სასურველია, მეორედ ძილის წინ დალიოთ. შეგიძლიათ, ამავე ნაყენში დასველებული დოლბანდი ვარიკოზულად გაფართოებულ ვენებზე დაიდოთ.



# რა არის რძის ლაქები

რძის ლაქები არის წვრილი, თეთრი ლაქები, რომლებიც ძირითადად ცხვირისა და ლოყების ადგილებში ჩნდება.

ეს გვხვდება, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებშიც.

რძის ლაქები გამოწვეულია მაშინ, როცა ადამიანის კანში ნაპოვნი პროტეინით – კერატინით პატარა ეპიდერმული ცისტებია ამოვსებული.

მოზრდილებში კი რძის ლაქები ხშირად გამოწვეულია დამწვრობისგან თუ ბებერათი, სტეროიდიანი კრემითა და კანის მოვლის განმეორებადი უხარიხო პროცედურებით.

1. ორგანული თაფლი წაისვით პრობლემურ ადგილას. საუკეთესო შედეგისთვის ეს პროცედურა ყოველდღე 15-20 წუთით გაიმეორეთ.

2. აიღეთ 1 ს/კ გრანულირებული შაქარი და თაფლი, დაამატეთ 3 ს/კ შვრია. შეურიეთ ეს ყველაფერი ერთმანეთს. მიღებული სკრაბი ყოველდღე გამოიყენეთ.

3. აურიეთ 2 ს/კ შაქარი, 1 ს/კ ლიმონის წვენი და 1 ჩ/კ ზეითუნის ზეთი. მიღებული სკრაბი სახეზე დაიტანეთ 20 წუთით.

შეურიეთ ორივე ინგრედიენტი ერთმანეთს, სანამ მასას არ მიიღებთ. მიღებული მასა კი სახეზე 25 წუთით გაიჩერეთ.

4. შეწვით ბროწეული ქერქი იქამდე, სანამ ისინი ყავისფერი არ გახდებიან. შემდეგ დაჭყლიტეთ, რათა ფხვნილი მიიღოთ. დაუმატეთ ლიმონის წვენი. წაისვით სახეზე 20 წუთით. კვირაში 3-ჯერ გაიმეორეთ.

5. ყველაზე მარტივი მეთოდი ორთქლია. პირსახოცი ცხელ წყალში ამოავლეთ და გაწურეთ. სახეზე რამდენიმე წუთი გაიჩერეთ. პროცედურა რამდენჯერმე უნდა გაიმეორეთ.

6. ჩაის ხის ზეთი ანტიბაქტერიული საშუალებაა და ეფექტურად ებრძვის რძის ლაქებს. წაისვით ის სახეზე და გაიჩერეთ მთელი ღამით. მეორე დღეს კარგად ჩამოიბანეთ.

7. შეიზილეთ პომიდორი რძის ლაქებზე. უბრალოდ პომიდორის ნაჭერს დაუმატეთ ცოტაოდენი შაქარი და ასე შეიზილეთ ლაქაზე. ეს პროცედურა ერთი თვის განმავლობაში გაიმეორეთ.

8. თიხის ნიღაბი – ამის გაკეთება, სამწუხაროდ, სახლში არ შეგიძლიათ. სამაგიეროდ, სალონში შეგიძლიათ იაფად გაიკეთოთ. ის მოგაშორებთ მკვდარ უჯრედებს და შეამცირებს რძის ლაქების რაოდენობას.

9. დარწმუნებულები ვართ, კბილი პასტა ყველა თქვენგანს ექნება სახლში. ის შეიცავს ფლუორიდებს, რომლებიც ებრძვის მილიას ყველა სიმპტომს. შეიზილეთ კბილის პასტა ლაქებზე. 25 წუთის შემდეგ კი ჩამოიბანეთ.

იცოდეთ, რძის ლაქები ერთი ან ორი დღის შემდეგ არ მოგშორდებათ. შედეგს 1– 2 თვის შემდეგ ელოდეთ!

## სასარგებლოა, იცოდეთ

### ხველების დროს მიიღეთ:

1. 0,5 ლ ცხელ რძეს შეურიეთ 1 კვერცხი, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და ამდენივე ნაღების კარაქი, კარგად აურიეთ და დალიეთ ძილის წინ;



2. 10 თავი ხახვი და 1 თავი ნიორი წვრილად დაჭერით, ჩაყარეთ რძეში და ადუღეთ მანამ, სანამ ხახვი და ნიორი არ გაიხსნება. დაუმატეთ ცოტა პიტნა და თაფლი. გაფილტრეთ და მიიღეთ 1 სუფრის კოვზი ყოველ საათში ერთხელ დღის განმავლობაში.

3. სტაფილოს ან თალგამის წვენი შეურიეთ რძეს 1:1 თანაფარდობით. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი დღეში 6-ჯერ.

4. აურიეთ ერთმანეთში 2 სუფრის კოვზი ახალი რძე, 2 სუფრის კოვზი ნაღების კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი პურის ფქვილი და 2 ჩაის კოვზი თაფლი. დალიეთ 1 ჩაის კოვზი 3-4-ჯერ დღეში.

ანგინის დროს რეკომენდებულია თბილი რძისა და მინერალური წყლის (გაზგასული) ნარევის დალევა.

### ყივანახველას დროს

5 კბილი ნიორი დაჭერით წვრილად ან დანაყეთ და აადუღეთ 1 ჩაის ჭიქა რძეში, დალიეთ დღეში რამდენჯერმე;

### ბრონქიტი

1 ჩ.ჭ. რძე ჩაასხით მომინანქრებულ ჭურჭელში, ჩაყარეთ 1 ს.კ. სალბი, დაახურეთ თავი, დადგით ნელ ცეცხლზე, წამოადუღეთ, გააცივეთ და გაფილტრეთ. ისევ აადუღეთ და დალიეთ ცხლად.

2 ჩ.ჭ. ადუღებულ რძეში გახსენით 1 დესერტის კოვზი ღორის გამდნარი ქონი. მიღებული ნაყენი სვით ცხელი, პატარ-პატარა ყლუპებით.

# მკურნალი მცენარეები



**სვია** – მრავალწლიანი, ხვიარა ბალახოვანი მცენარეა. აქვს გრძელი ფესურა.

ყვავილობს ივნის-აგვისტოში. სამკურნალოდ გამოიყენება მდედრობითი გირჩები, რომლის შემადგენლობაში შედის მირცენოდი, ჰუმულენი, ფარნეზენი, ჰორმონები, ქლოროგენის, ვალერიანის მჟავები, ფლავონური გლიკოზიდები, საღებავი, ფისოვანი ნივთიერებები, ვიტამინები და სხვა.

იგი დამამშვიდებელ გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. აქვს ანთების საწინააღმდეგო ქმედება, მოქმედებს წყლულოვან დაავადებებზე, ამაგრებს კაპილარებს. გააჩნია ჰიპოსენსიბილური და ტკივილგამაყუჩებელი თვისება.

გირჩებისაგან დამზადებული ექსტრაქტები ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკასა და დერმატოლოგიურ პრაქტიკაში. მრეწველობა მათ ბაზაზე უშვებს რიგ სამკურნალო მალამოებსა და ხსნარებს ქერტლის საწინააღმდეგოდ, თმის ძირების გასამაგრებლად, დერმატიტების და ფერისმჭამელების სამკურნალოდ.

გირჩების წყლიანი ნაყენი გამოიყენება მადის მომგვრელ საშუალებად, კუჭ-ნაწლავების ტრაქტის მოსაწესრიგებლად, კატარის, გასტროენტერიტების სამკურნალოდ. მას ხმარობენ როგორც შარდმდენ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებას შარდის ბუშტისა და თირკმელების ანთების, ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის დაავადების დროს. მის ნაყენს ხშირად იყენებენ ნერვული აგზნებისა და უძილობის დროს.

გირჩებისაგან დამზადებული ნაყენებითა და ნახარშებით იბანენ თავს ადრეული გამელოტებისა და ქერტლის საწინააღმდეგოდ. ნაყენების და ნახარშების საფენები გამოიყენება ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად დაჟეჟილობის, ნიკრისის ქარების, რევმატიული ტკივილების, წყლულების, ეგზემის, კანის ანთების დროს. ხალხურ მედიცინაში რეკომენდირებულია სვიის გირჩებით ავსებული ბალიშების ხმარება ძილის გაუმჯობესებისათვის.

**ფითრი** – მარადმწვანე, პარაზიტი ბუჩქოვანი მცენარეა ფითრისებრთა ოჯახიდან. მისი ბუჩქები ბურთისებრი ფორმისაა, დატოტვილი. იგი ძირითადად მსხლის ტოტებზე გვხვდება, არცთუ იშვიათად ვაშლზე, აკაციაზე, ცაცხვზე, სოჭზე და სხვა მერქნიან მცენარეებზეც.



ფითრი ყვავილობს მარტ-აპრილში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში.

სამკურნალოდ გამოიყენება ახალგაზრდა ფოთლიანი ყლორტები. ისინი შეიცავენ ალკალოიდის მსგავს ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, სპირტებს, ქოლინს, ამინომჟავებს და სხვა. ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ როგორც სისხლისალმდგენ, შემკვრელ საშუალებას, ხმარობენ აგრეთვე ეპილეფსიის სამკურნალოდ.

ფითრის ფოთლების ექსტრაქტი დაბლა სწევს არტერიულ წნევას და შესაძლებელია მისი გამოყენება ჰიპერტონული დაავადების საწყის სტადიაში. ასეთივე შედეგი აღინიშნება კლიმაქტერული ჰიპერტონიით დაავადებულთა მკურნალობის დროსაც.

# მიიღეთ ჟელატინი და დაივიწყეთ სახსრების ტკივილი

თუკი სახსრები ოდესმე აგტკივებიათ, მოსინჯეთ ეს მეთოდი.

საჭირო მხოლოდ 150 გრ ჟელატინია. ეს გეყოფათ მთელ თვეს. ყოველდღე დაგჭირდებათ დაახლოებით 2 ჩ.კ ჟელატინი. გახსენით ერთ ჭიქა ცივ წყალში. კარგად აურიეთ და დააცადეთ მთელი ღამე. დალიეთ უზმოზე. თუ გემო არ მოგწონს-დაამატე თაფლი, წვენი, ან არაჟანი.



7 დღის შემდეგ შენიშნავთ, რომ ტკივილები შემსუბუქდება. 1 თვის შემდეგ კი შეგიძლია შეწყვიტო მკურნალობა, იმიტომ რომ შედეგი მიღწეულია.

6 თვის მერე შეგიძლია გაიმეოროთ.

ჟელატინი მიიღება კოლაგენის გადამუშავებით, რომელსაც შეიცავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლების შემაერთებელი ქსოვილები, გარდა ამისა პროცესში ჩართულია მყესები და ხრტილებიც. ამიტომაც მის შემადგენლობაში შედის ამინომჟავები, რომელიც ხელს უწყობს სახსრების შემაერთებელი ქსოვილების აღდგენას.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ხელბურთელი გოგონები ევროპაზე მოსახვედრად იბრძოლებენ



ვენაში გაიმართა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრა 19-წლამდელ გოგონათა შორის. საქართველოს ნაკრების მეტოქეები იქნებიან პორტუგალია, ბელარუსი და შვეიცარია. შეჯიბრება 17-19 მარტს გაიმართება ბელარუსში. ფინალურ ეტაპზე ამ ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის.

ფინალური ტურნირი ივლის-აგვისტოში სლოვენიაში გაიმართება და მასპინძლები, ასევე დანია და რუსეთი, იქ პირდაპირ არიან დაშვებული.

დანარჩენ 13 საგზურს კვალიფიკაციაში გაითამაშებს 30 ქვეყანა.

# კამპ ნოუ წიგნში მოხვდა



ბარსელონას ნოუ კამპი ერთადერთი საფეხბურთო სტადიონია, რომელიც მოხვდა წიგნში – 500 ყველაზე სანახაობრივი ადგილი.

წიგნი ტურიზმისთვის განკუთვნილ, ძალიან განვითარებულ ადგილებს შეიცავს, სადაც ესპანეთიდან 12 ობიექტია წარმოდგენილი. მაგალითად, კორდობას მეჩეთი (რომელიც რეიტინგში 73-ე ადგილს იკავებს) და გრანადაში მდებარე ალგამბრა (მე-16).

ჩამონათვალში ასევე პრადოს, გუგენჰაიმისა და პიკასოს მუზეუმები, ტორდე სერეროს ყველაზე მაღალი ადგილი – პიკოს დე-ევროპა და, რაც მთავარია, კატალონიის ბარსელონას სტადიონი მოხვდა, რომელიც რეიტინგში 470-ე ადგილს იკავებს.

ბარსელონას სტადიონს რომის ამფითეატრებს ადარებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ათასობით გულშემატკივარი ჰიმნს მღერის.

# მანჩესტერი ფეხბურთელებს პორტუგალიაში ეძებს, ჩელსი – მილანში

პორტუგალიური გამოცემების ცნობით, ბენფიკას ფეხბურთელის, გონსალო გედეშის შეძენით დაინტერესებას ორი ინგლისური გრანდი – მანჩესტერ იუნაიტედი და არსენალი გამოხატავს.

ლისაბონური კლუბის პრეზიდენტ ლუიშ ფელიპე ვიეირას სურს, გონსალო გედეში გაყიდოს იმავე ფასში, რა თანხაც მიუნხენის ბაიერნმა გადაიხადა რენატუ სანჩესში.

გასულ ზაფხულს გონსალოთი დაინტერესებული იყო ესპანური ვალენსია. პირინეელებმა ბენფიკას წინადადებითაც მიმართეს, ისინი 19 წლის გარემარბში 22 მილიონს იხდიდნენ, მაგრამ პორტუგალიური მხარისაგან უარი მიიღეს, უარის მიზეზი კი მათთვის არადამაკმაყოფილებელი თანხა აღმოჩნდა.

მანჩესტერ იუნაიტედი სხვა პორტუგალიური კლუბის ფეხბურთელითაც არის დაინტერესებული – ჯერ კიდევ ზაფხულში პორტუდან ჰექტორ ერერას გადაბირება სურდათ, მაგრამ მექსიკელი ფეხბურთელი „დრაკონების" რიგებში დარჩა. მიუხედავად ამისა, იუნაიტედი არ აპირებს დანებებას და ერერას გაფორმებას იანვარში ეცდება.

უცხოურ მედიაზე დაყრდნობით, იუნაიტედი ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაზე მექსიკელი ნახევარმცველის შეძენას შეეცდება და მიზნის მისაღწევად მზადაა პორტუს 26 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ დიდი თანხა გადაუხადოს.

თავად პორტუს არ სურს, ზამთარში გაუშვას გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე და ეცდება, შეინარჩუნოს მექსიკელი. თუმცა ვარაუდობენ, რომ იუნაიტედის შეთავაზების შემთხვევაში მექსიკელი ფეხბურთელი ინგლისურ კლუბს უარს ვერ ეტყვის და კარიერის გაგრძელებას ოლდ ტრაფორდზე მოისურვებს.

ლონდონის ჩელსის მთავარი მწვრთნელი ანტონიო კონტე მზად არის, ნახევარმცველი სესკ ფაბრეგასი მილანის მცველ მატია დე შილიოში გაცვალოს.

უკვე ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ესპანელი შესაძლოა გადაბარგდეს მილანში. ფაბრეგასის შეძენით პირადად არის დაინტერესებული „როსონერის" თავკაცი ვინჩენცო მონტელა.



# ფრანჩესკო ტოტი: „თუ სწორად ცხოვრობ, ასაკი ვერ მოგერევა"



იტალიური ფეხბურთის ცოცხალი და მოქმედი ლეგენდა ფრანჩესკო ტოტი 40 წლის რომ გახდა, უკვე ვწერდით და გასაკვირი სულაც არ არის, რომ აპენინური პრესა მისით ბოლო დროს კიდევ უფრო დაინტერესდა.

***– ტორინოს კარში გატანილი გოლი 250-ე იყო სერია ა-ში. თქვენ წინ სილვიო პიოლაა 274 გოლით და როგორც ჩანს, არ ხუმრობდით, როდესაც თქვით, რომ მისი რეკორდის დამხობა გსურთ.***

– საერთოდ, ხშირად ვხუმრობ, მაგრამ ამ შემთხვევაში – არა. დიახ, ეს არის ჩემი მიზანი, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღწევა თითქმის შეუძლებელია. ჩემთვის პრიორიტეტული ყოველთვის გუნდის ინტერესები იყო და ასეა ამჯერადაც. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარო, ჩემი გოლები კი სწორედ ამისთვის მჭირდება და არა – პირადი რეკორდების გასაუმჯობესებლად.

***– ჩემპიონატში ტორინოსთან დამარცხდა. ჩანს, გუნდს არასტაბილურობა ახასიათებს.***

– რომა სწორი გზით მიდის, მაგრამ არის სირთულეებიც და ბევრს ვშრომობთ, რათა ყველა პრობლემა გადავლახოთ. თუ ჩვენი თამაში არ მიგვდის და ბურთს ვერ ვაკონტროლებთ, რთულ ვითარებაში ვვარდებით. ამ დროს მეტოქე დიდ უპირატესობას ეუფლება. გუნდს ყოველთვის უნდა ჰქონდეს რამდენიმე სქემა და სტრატეგია. ვფიქრობ, რომა მოუმატებს და უკეთ ათამაშდება.

***– იქნებ რომას ერთი დიდი გამარჯვება სჭირდებოდა. ინტერის ძლევა ამის დასაწყისი ხომ არ იყო?***

– ინტერის დამარცხება მართლაც მნიშვნელოვანი იყო და ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ მხოლოდ ერთი მატჩი ვითარებას ვერ გამოასწორებს. გვჭირდება გამარჯვებათა მთელი სერია, რომ ვირწმუნოთ საკუთარი შესაძლებლობების.

***– რომას მიზანი სკუდეტოს მოპოვებაა?***

– მაქსიმალისტი ვარ და ყველა სეზონს ვიწყებ იმ მოტივით, რომ სკუდეტოს დავეუფლო. ოქტომბერში პროგნოზების კეთება ადრეა, რადგან წინ მთელი სეზონია და ბევრი რამ შეიცვლება. ვფიქრობ, მარტი-აპრილში გამოიკვეთება იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. ჩვენ გვჭირდება სტაბილურობა იმისთვის, რომ იუვენტუსსა და ნაპოლის ღირსეული კონკურენცია გავუწიოთ.

***– რაშია თქვენი წარმატების საიდუმლო და როგორ ახერხებთ 40 წლის ასაკში ასე თამაშს?***

– თუ სწორად ცხოვრობ, რეჟიმს იცავ და თავდაუზოგავად შრომობ, ასაკი ვერ მოგერევა. შესაძლოა, ჩემს კარიერაში იყო სკანდალური მომენტები მოედანზე, მაგრამ მის მიღმა ყოველთვის მშვიდი ცხოვრება მქონდა და რეჟიმი არასდროს დამირღვევია. ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ უმაღლეს დონეზე მეთამაშა და ამან შედეგი გამოიღო. ამასთან, გვერდში მედგა ოჯახი, რომელიც ჩემთვის განსაკუთრებული სტიმულია. როდესაც იცი, რომ სახლში მოსიყვარულე მეუღლე და ბავშვები გელოდებიან, საქმეც უკეთ გამოგივა.

***– თუ გაქვთ სურვილი, რომ თქვენი შვილი კრისტიანი პროფესიონალი ფეხბურთელი გახდეს და 40 წლამდე ითამაშოს?***

– ერთი მხრივ კი, რადგან ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და მინდა ჩემს შვილსაც მოედანზე ვხედავდე. თანაც, კრისტიანი გიჟდება ფეხბურთზე, სულ ბურთითაა და ვხედავ, რომ ამაში მე დამემსგავსა. თამაშიც კარგად გამოსდის და პოტენციალიც აშკარად აქვს. მეორე მხრივ, არ მსურს, რომ ფეხბურთელი გახდეს, რადგან ზურგზე ტოტი უნდა ეწეროს, ეს კი უდიდესი წნეხი და პასუხისმგებლობა იქნება. მას ყოველთვის შეახსენებენ, ვისი შვილია და რა თქმა უნდა, შეადარებენ მამას. ვფიქრობ, ეს ნეგატიურ გავლენას მოახდენს მასზე, როგორც პიროვნებასა და როგორც ფეხბურთელზე.

***– ბავშვობაში თუ ფიქრობდით იმაზე, რომ ფეხბურთს 40 წლამდე ითამაშებდით?***

– არა, ასეთი თამამი მიზნები არ მქონია. 40 წლის ასაკში კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ, რომას კაპიტნის სამკლავური მიკეთია და ზურგზე 10 ნომერი მაწერია – ეს ფანტასტიკური რეალობაა, რომელზეც მხოლოდ ოცნება თუ შემეძლო.

***– რა იქნებოდა თქვენთვის საუკეთესო საჩუქარი 40 წლის იუბილეზე?***

– 10 წლის მოკლება საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა. არ მბეზრდება ფეხბურთის თამაში და ეჭვი მაქვს, რომ კიდევ მინიმუმ 10 წელი სიამოვნებით ვითამაშებდი. სამწუხაროდ, ჩემი საიუბილეო სურვილი უტოპიაა.

# ვერატის ბაიერნი სურს, რიბერის ევროპა არ უნდა



პსჟ-ს ცენტრალური ნახევარმცველის, მარკო ვერატის, აგენტმა დონატო დი კამპლიმ განაცხადა, რომ 23 წლის ფეხბურთელს ახალი გამოწვევები და მოტივაცია სურს. კამპლი ადასტურებს, რომ ფეხბურთელს კლუბის გამოცვლა უნდა.

არაერთი ევროპული გრანდი ინტერესდება 23 წლის ნახევარმცველით, რომელთა შორის კატალონიის ბარსელონაცაა. ესპანელები მარკო ვერატის ხავის შემცვლელად მოიაზრებენ. მორიგი კლუბი მადრიდის რეალია, რომელიც ასევე დიდ ინტერესს იჩენს იტალიელი ფეხბურთელის მიმართ.

მარკო ვერატის მიმართ დაინტერესებას არ მალავს ბაიერნიც. ჩაბი ალონსოს მოქმედი კონტრაქტი რეკორდმაისტერთან მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ეწურება და სავარაუდოა, რომ რეკორდმაისტერმა ესპანელი საყრდენის შემცვლელად სწორედ 23 წლის ვერატი განიხილოს.

მარკო ვერატის კონტრაქტი პსჟ-თან 2021 წლის ივნისის ბოლომდე აქვს გაფორმებული. ახალგაზრდა იტალიელი ნახევარმცველის მიმდინარე სატრანსფერო ფასი 40 მილიონ ევროს შეადგენს.

ბაიერნის ფრანგმა ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ გამორიცხა სხვა რომელიმე ევროპულ კლუბში გადასვლის შესაძლებლობა და მისდამი მიმართული კრიტიკისგან თავი დაიცვა.

**ფრანკ რიბერი:**

– არც ერთ ევროპულ კლუბში აღარ ვითამაშებ, ეს გამორიცხულია. წარმოდგენაც კი მიჭირს ამის. თუმცა ვინ იცის, შესაძლოა მომავალში ბაიერნის პრეზიდენტი გავხდე.

ფრანკი მოედანზე თავისი ემოციური ხასიათითაა ცნობილი. მის მიმართ მეტოქეები ხშირად უხეშად თამაშობენ და მისი ნეიტრალიზაციისთვის ნებისმიერ საშუალებას იყენებენ.

– ხანდახან, რაღაც დროის მონაკვეთში, მწყობრიდან გამოვდივარ და წესიერების ზღვარს არ ვიცავ, მაგრამ ეს იმ დროს ხდება, როდესაც მეტოქეები განზრახ ცდილობენ ჩემთვის ტრავმის მიყენებას. როდესაც ძელებში [illegible] იმისთვის, რომ მინდორი დამატოვებინონ, მაშინ თავის დაცვა მიხდება. არც ერთ ჟურნალისტს და გულშემატკივარს იოტისოდენა წარმოდგენაც კი არ გააჩნია იმის შესახებ, თუ რა ტკივილებს განვიცდი ფეხებში დარტყმების შემდეგ. იძულებითი მოსვენება წესების დარღვევის გამო ჩემთვის მიუღებელია.

ფრანკ რიბერის 2015 წლის მარტში მიღებული ტრავმის გამო საკმაო დრო გაუცდა და მინდორს ის მხოლოდ 2016 წლის თებერვალში დაუბრუნდა. ამ დროის განმავლობაში პრესა ფრანგი ნახევარმცველის კარიერის დასრულებასაც კი ვარაუდობდა. თუმცა, 33 წლის ფრანგმა აღნიშნულ სიტუაციას თავი გაართვა და დღესაც გუნდის შეუცვლელ ლიდერად გვევლინება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება – დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება – 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# კიმ კარდაშიანმა ვებ-გვერდს უჩივლა



ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა პორტალ მედიათეიქაუთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა, რომელიც ამტკიცებს, რომ პარიზში მოდელის გაძარცვა იმიტაცია იყო და რომ მას ეს პიარისთვის დასჭირდა.

ასევე სასამართლო განხილვაში იქნება ჩართული გამოცემის მთავარი რედაქტორი ფრედ მვანგაგუჰუნგი. საქმე განსახილველად ნიუ-იორკის შტატის ფედერალურ საოლქო სასამართლოს გადაეცა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთელ რიგ პუბლიკაციებში პორტალმა კარდაშიანს ბრალი სიცრუესა და ქურდობაში დასდო. ამასთან მათ ავტორებს არანაირი ფაქტობრივი საფუძვლიანი ინფორმაცია და მტკიცებულება არ ჰქონიათ.

ჯერჯერობით გამოცემის წარმომადგენლებს ამ საქმეზე რაიმე სახის კომენტარი არ გაუკეთებიათ. აღსანიშნავია, რომ მვანგაგუჰუნგმა უარი თქვა დაებეჭდა პუბლიკაციის უარმყოფელი სტატია, ან ბოდიში მოეხადა კარდაშიანისთვის.

# უველაზე მსუქანი მანეკენი თავს საკუთარი ფიგურით იწონებს



მსოფლიოში ყველაზე მსუქანმა მანეკენმა ტეს ჰოლიდეიმ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა სელფი, რომელშიც ის საცვლებშია გადაღებული.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მე რაიმესი მრცხვენია, რომ თქვენ შეგიძლიათ მაიძულოთ წავიდე, მაგრამ ასე არ მოხდება, არსადაც არ წავალ, არ გავქრები, – დაწერა სელფის კომენტარში 31 წლის ჰოლიდეიმ. ასეთი პასუხი გასცა ამერიკელმა მანეკენმა თავისი მოძულეების კომენტარებს, რომლებიც მას მეტისმეტად მსუქნად მიიჩნევენ სამოდელო ბიზნესისთვის. მისი წონა 155 კილოგრამს შეადგენს.

მანეკენის გვერდს ინსტაგრამში 1,3 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს, ხოლო სელფმა უკვე 48,5 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

# შაია ლაბაფმა ლას-ვეგასში იქორწინა

ამერიკის ნევადას შტატის ქალაქ ლას-ვეგასში მსახიობმა შაია ლაბაფმა მსახიობ მია გოტზე იქორწინა. წყვილმა საქორწინო ცერემონიაზე 700 დოლარზე მეტი დახარჯა.

მსახიობები დააქორწინა მამაკაცმა, რომელიც ელვის პრესლის კოსტიუმში იყო გამოწყობილი. ასევე ღონისძიებაზე მიწვეული იყო ჰავაური ცეკვების შემსრულებელი. მსახიობებმა საქორწინო ცერემონიის ადგილი ვარდისფერი კადილაკის მარკის კაბრიოლეტით დატოვეს. ახალდაქორწინებულებს ჯერ არ აქვთ გადაწყვეტილი თუ სად გაატარებენ თაფლობის თვეს.

ლაბეფი ცნობილია როლებით ფილმებიდან „ტრანსორმერები“, „ინდიანა ჯონსი და ბროლის თავის ქალის სამეფო“, ხოლო სახელი მას გაუთქვა ფილმ „პარანოიაში“ შესრულებულმა მთავარმა როლმა.



22 წლის მია გოტს ნათამაშები აქვს ფილმში „ნიმფომანი“, ასევე მან მონაწილეობა მიიღო ფილმ „ევერესტის“ გადაღებებში.

# დისნეიში პრინცესად გადაქცევის პირობები დაასახელეს

 დი უოლტ დისნეი ქომპანიამ დაასახელა ის ათი პრინციპი, რომელსაც უნდა იცავდეს გოგონა, რომელსაც შეიძლება, რომ თანამედროვე პრინცესა ვუწოდოთ.

კომპანიამ სია ლამაზი პოსტერების სახით გააფორმა, რომლებიც ბრიტანელმა მხატვრებმა კეიტ მორროსმა, როუზ ბლეიკმა და კეიტ ფორესტერმა შექმნეს. დისნეის ვერსიით პრინცესა უნდა ზრუნავდეს გარშემომყოფებზე, მისდევდეს ჯანსაღი ცხოვრების წესს, ადამიანებზე მათი გარეგნობის მიხედვით არ იმსჯელოს, იყოს პატიოსანი და გახდეს საიმედო ადამიანი.

ასევე მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, რომლებიც სამეფო ოჯახის წარმომადგენლების ფასეულობებს იზიარებენ, მოუწოდეს ისწავლონ საკუთარი თავის რწმენა, საკუთარი შეცდომების გამოსწორება, გამოიჩინონ გულმოდგინება, იყვნენ ერთგულნი და არასოდეს დანებდნენ.




# ბენზინისხერხიანი მასხარისგან შეშინებულმა ქალმა ნაადრევად იმშობიარა



ბრიტანეთის საგრაფო ლესტერშირში ფეხმძიმე ქალმა ბავშვი ვადაზე ადრე მას შემდეგ გააჩინა, როდესაც ის შეაშინა მამაკაცმა, რომელიც მასხარას კოსტიუმში იყო გამოწყობილი, ხელში კი ბენზინისძრავიანი ხერხი ეჭირა.

ინფორმაცია მომხდარის თაობაზე ფეისბუქში ერთ-ერთი საზოგადოების გვერდზე გავრცელდა. სოციალური ქსელის მომხმარებელმა განაცხადა, რომ 17 წლის ახალგაზრდა რვა თვის ფეხმძიმე ქალის წინ ბუჩქებიდან გამოხტა. ამ დროს ქალი სასეირნოდ იყო გამოსული. შიშის გამო მას ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. ამის მიუხედავად, დედაც და ბავშვიც კარგად გრძნობენ თავს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მასხარას კოსტიუმში გადაცმულ ახალგაზრდას პოლიცია ეძებს.

# ბრიტანეთში ახალი სერვისი გამოჩნდა, პიცა კანოეთი



ბრიტანეთის ქალაქ მეიდსტოში რესტორნების ქსელმა დომინო,ს პიცამ მომსახურების ახალი ფორმა დანერგა, შეკვეთილ პიცას ადგილზე კანოეთი მოგართმევენ.

შეკვეთებს ადგილზე სპეციალური ჩაუძირავი და წყალგაუმტარი ჩანთებით მიიტანენ, ეს იმ შემთხვევისთვის, თუ ის ნავიდან წყალში გადავარდება. კურიერები ასევე უზრუნველყოფილნი იქნებიან ჰიდროკოსტიუმებით და სამაშველო ჟილეტებით. ჯერჯერობით რესტორნების ქსელმა ახალი მეთოდი მხოლოდ კენტის საგრაფოში, მდინარე ლუზზე დანერგა.

პირველი მყიდველი, რომელმაც ამ მომსახურებით ისარგებლა, დები ჰეისია, რომლის სახლი ყველა მხრიდან წყლითაა შემოსაზღვრული. ადრე ქალბატონი ამ მხრივ ყოველთვის სირთულეებს აწყდებოდა, რადგან მის სახლამდე ხმელეთით მიღწევა გაძნელებული იყო.

# არწივი მანქანის ცხაურში გაიჭედა

ამერიკის ფლორიდის შტატის პოლიციამ თეთრთავიანი არწივი გადაარჩინა, რომელიც ავტომობილის რადიატორის ცხაურში ქარიშხალ „მეთიუს“ დროს გაიჭედა. ამ ინფორმაციას ტელეარხი სი-ენ-ენი ავრცელებს.

მანქანის ცხაურში არწივის გაჭედვის თაობაზე 911-ის სამსახურს მეორე ავტომობილის მძღოლმა შეატყობინა. მან მოახლოვებული ავტომობილის ცხაურში გაჭედილი ფრინველი შენიშნა და მას ეს ჯერ მანქანის მოსართავი ეგონა.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ცხაურში გაჭედილი თეთრთავიანი არწივი აღმოაჩინეს. ის გაათავისუფლეს და გადასცეს ორგანიზაციას, რომელიც ფრინველებს ეხმარება. არწივს ქარიშხლის პატივსაცემად, რომლის მსხვერპლიც ის კინაღამ გახდა, მეთიუ დაარქვეს.

როგორც გაირკვა, შვიდი წლის არწივი სერიოზულ დაზიანებებს გადაურჩა, თუმცა სპეციალისტები მას კიდევ რამდენიმე დღე დააკვირდებიან, შემდეგ კი ბუნებაში გაუშვებენ.

აღსანიშნავია, რომ ქარიშხალი „მეთიუ“ ყველაზე ძლიერი ქარიშხალია კარიბის აუზში ბოლო 10 წლის განმავლობაში, მას უმაღლესი მეხუთე კატეგორია მიენიჭა საფირ – სიმპსონის შკალით. ქარის სიჩქარემ 230 კილომეტრი შეადგინა საათში.



**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 14 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – ახლობლებთან ჰარმონიული ურთიერთობის შენარჩუნებაში ტრადიციების დაცვის უნარი დაგეხმარებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – საოჯახო საქმეებს ვერ აუდიხართ. სამომავლოდ ნურაფერს გადადებთ. ერიდეთ საქმის გარჩევებს. **ტყუპები** – მოუგვარებელი საყოფაცხოვრებო პრობლემები განერვიულებთ. ნუ დაწვრილმანდებით. ემოციები მოთოკეთ. **კირჩხიბი** – ფიზიკურადაც და მორალურადაც მშვენიერ ფორმაში ხართ. დღეს, შესაძლოა, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდეს. **ლომი** – ოჯახის წევრებთან ურთიერთობას აგვარებთ. მთავარია, შინაგანი წონასწორობა შეინარჩუნოთ. **ქალწული** – ეცადეთ, შინაურებთან სკანდალი თავიდან აიცილოთ. ნერვებს გაუფრთხილდით. **სასწორი** – საიდუმლოს ნურავის გაანდობთ. ყველა დაწყებული საქმე დღესვე დაამთავრეთ. კარგი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ წასასვლელად. **ღრიანკალი** – მრავალი თქვენგანი საოცარ შორსმჭვრეტელობასა და მახვილგონიერებას გამოავლენთ, რაც თქვენს საქმიანობაზე დადებითად აისახება. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ახალ ნაცნობობას, რომანტიკულ შეხვედრებს. იმედი გაგიცრუვდებათ. **თხის რქა** – გადადებული საქმე ეშმაკისააო. ნუ იზარმაცებთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა სტაბილურია. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. **თევზები** – საორგანიზაციო საკითხების მოგვარება არ გაგიჭირდებათ. თანამოაზრეები გვერდში გიდგანან. სიზმარი, სავარაუდოდ, აგიხდებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 3. კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვა; 4. ტვირთის სათავსო გემზე; 6. ობობასნაირი შხამიანი ცხოველი; 9. ქართული ბანკი; 11. ბაზარში დაწესებული ფასი; 15. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16 ნახატის, არქიტექტურული პროექტის წინასწარი მონახაზი; 17. მოჭიქული და მოხატული თიხის ჭურჭელი; 19. ზღვის ცხოველების გაქვავებული ნარჩენებისგან მიღებული სამკურნალო ნივთიერება; 21. ეთერზეთებით მდიდარი ზოგიერთი მცენარის სურნელოვანი ზეთი; 22. პატარა კაფე-სასაუზმე გერმანიაში.

**თარაზულად**: 5. ჩანჩქერი აფრიკაში; 7. ორნიტოლოგიის ნაწილი, მოძღვრება ფრინველის კვერცხების შესახებ; 8. აეროპორტი მილანში; 10. მოლაპარაკე ფრინველი; 12. უმთვარო, ბნელი ღამე; 13. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 14. კურკოვანი ნაყოფის მქონე ზეთით მდიდარი, მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე; 18. იორდანიის დედაქალაქი; 20. ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ეგვიპტეში; 23. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 24. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 25. აეროპორტი პრაღაში; 26. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 27. კუთხე საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუდზონი; 2. სინოპეკი; 3. სტურუა; 4. დუკლა; 5. დიამეტრი; 8. ფალსტაფი; 12. ბასა; 13. სალიკანი; 14. ლიკუდი; 16. ჯომარდი; 18. მელუა; 20. საკე.

**თარაზულად:** 6. სუფლიორი; 7. ბატიბუტი; 8. ფოტონი; 9. კოშმა; 10. რენეგატი; 11. როსბერგი; 15. კალიფორნია; 17. შალახო; 19. დიოსკურია; 21. მარჩილი; 22. დილიჟანსი; 23. შერბური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნადური; 2. დასტა; 3. არიანი; 4. აიმაკი; 6. გულიაში; 9. ბლუზი; 11. კონფუცი; 12. ლითოსფერო; 16. ქენონი; 19. აბატისა; 21. პატენტი; 22. ბატატი.

**თარაზულად:** 5. ნარმანია; 7. უნიკუმი; 8. ამლახუ; 10. სლოგანი; 12. კოლტი; 13. სუომი; 14. ყიზილბაში; 18. კაფია; 20. ბეშუმი; 23. ფაუსტი; 24. ტუფი; 25. ლენონი; 26. ტარო; 27. ატლანტა.

# დავით ხრიკულმა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე მესამე პრემია მოიპოვა



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედის“ X კლასის მოსწავლემ დავით ხრიკულმა არტურ რუბინშტეინის სახელობის პიანისტთა ახალგაზრდულ საერთაშორისო კონკურსზე წარმატებას მიაღწია. მან III პრემია მოიპოვა და ლაურეატის წოდებაც დაიმსახურა. დავით ხრიკულს ასევე გადაეცა სპეციალური პრიზი „შუბერტის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის“.

კონკურსი ჩინეთის ქალაქ პეკინში პირველად გაიმართა. დავით ხრიკული კონკურსზე კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გაემგზავრა და საქართველო ღირსეულად წარადგინა.

დავით ხრიკული „ნიჭიერთა ათწლედში“ პედაგოგ ემერიტუს რევაზ თავაძესთან სწავლობს. პიანისტი სამუსიკო სკოლის ერთ-ერთი წარმატებული მოსწავლე, არაერთი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი და გრან-პრის მფლობელია.

# ხატია მიყვარხარ! — „ქოლდფლეის“ სოლისტის მიმართვა ქართველ პიანისტს





ქართველ საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ინფორმაციის გავრცელებამ იმასთან დაკავშირებით, რომ პიანისტმა ხატია ბუნიათიშვილმა ჯგუფ „ქოლდფლეისთან“ ითანამშრომლა. მათი მეგობრობა კვლავაც გრძელდება და ეს რამდენიმე დღის წინ ბერლინში გამართულ ერთ-ერთ პრესტიჟულ დაჯილდოების ცერემონიალზეც გამოჩნდა.

პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ დაჯილდოების ცერემონიალზე „ექო კლასიკ 2016“ წლის საუკეთესო სოლო ჩანაწერისთვის დააჯილდოვეს.

ბერლინის საკონცერტო დარბაზში გამართულ საზეიმო გალა კონცერტზე ქართველი პიანისტი შეკრებილ საზოგადოებას ჯგუფ ქოლდფლეის სოლისტმა კრის მარტინმა წარუდგინა.

ბრიტანელი მომღერალი დამსწრეებს მიესალმა, ხატიას სიყვარულში გამოუტყდა, მის ნიჭიერებაზეც ისაუბრა და პიანისტს ჯილდოს მიღება მიულოცა.

ხატია ბუნიათიშვილმა ბერლინის საკონცერტო დარბაზში შეკრებილ კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის მოდესტ მუსორგსკის საფორტეპიანო ციკლი „სურათები გამოფენაზე“ შეასრულა.

# საქართველოში 19 ოქტომბრამდე არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი

15 ოქტომბერს, თბილისში, უნალექო ამინდია მოსალოდნელი. აღმოსავლეთ საქართველოში ზოგან ხანმოკლე წვიმა იქნება. იქროლებს დასავლეთის მიმართულების ქარი, დროგამოშვებით 17-22 მეტრი იქნება წამში.

14-15 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოს ბარში დღისით ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 16; 18 გრადუსი იქნება.

16-17 ოქტომბერს ბარში დღისით ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 13-15 გრადუსია მოსალოდნელი.

15 ოქტომბრის ღამეს, საქართველოს მაღალმთიან რაიონებში ზოგან მოთოვს. კერძოდ, თოვლის ნალექი მოსალოდნელია ყაზბეგში, სვანეთის მაღალმთიანეთში, სამხრეთ საქართველოში ნინოწმინდის რაიონში. ღამით ტემპერატურა იქ 0; -2 იქნება; დღისით — 1; 6 გრადუსი სითბო.

დასავლეთ საქართველოში დროგამოშვებით იქროლებს ქარი, რომელის სიჩქარე წამში 17-22 მეტრი იქნება. არამდგრადი ამინდი 18 ოქტომბრამდე შენარჩუნდება. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დღისით 13-15 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში კი 18 ოქტომბერს ამინდი გაუარესდება. ყველაზე დაბალი ტემპერატურა, 18-19 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, მათ შორის თბილისსა და კახეთში, 12-13 გრადუსი იქნება.

# ლიზი პოპი რეკორდსმენია



ლიზი ჯაფარიძე, იგივე ლიზი პოპი რეკორდსმენია. მას პირველი ადგილი მიანიჭეს.

ლიზიმ საბავშვო ევროვიზიაზე საქართველო 2014 წელს წარადგინა სიმღერით „ჰეფი დეი“ (ბედნიერი დღე). სიმღერამ იუთუბში ნახვების ყველანაირი რეკორდი მოხსნა და ამჟამად 6.837.066 ნახვა აქვს.

საბავშვო ევროვიზიის ისტორიაში ლიზის ისევ პირველი ადგილი მიანიჭეს. საბავშვო ევროვიზიის ყველაზე ნახვადი ვიდეოების ათეულში ლიზი პოპთან ერთად ჯგუფი „ბზიკებიც“ მოხვდა. მათ ათეულში მეხუთე ადგილი დაიკავეს სიმღერით „ბზზ“.

ინფორმაცია კომპოზიტორმა გიგა კუხიანიძემ გაავრცელა:

— ლიზა გილოცავ. საბავშვო ევროვიზიის ისტორიაში პირველი ადგილი მოგანიჭეს ისევ. ყველაზე ნახვადი ვიდეო. ვამაყობ!!! მადლობა ყველას, ვინც იმუშავა ამ პროექტზე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ეთერ და დარეჯან ბალიაშვილები, სიძეები ნუგზარ ბიჭაშვილი, ალექსანდრე კორძახია, შვილიშვილი გიორგი კორძახია, და მარიამ დემეტრაშვილი, სიძე ანზორ ირემაშვილი, მულიშვილები მიშიკო და მაკა, დისშვილები მალხაზი და ლალი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ციალა ივანეს ასული დემეტრაშვილი-ბალიაშვილი**



პანაშვიდი: ხუთშაბათსა და პარასკევს, 17 საათზე.
დაკრძალვა: შაბათს, 15 ოქტომბერს, 14 საათზე.
მისამართი: სანაპიროს ქ. №2ა, I სადარბაზო, ბინა 10.

---

მეუღლე ნაირა ხაინდრავა, შვილები ნანა, ია, სიძე რუდოლფ კვიციანი, შვილიშვილი გიორგი ზაუტაშვილი იუწყებიან

**ზურაბ ტატაჩის ძე ჩანგელიას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: შაბათს, 15 ოქტომბერს, 14 საათზე.

მისამართი: გლდანი, ხიზაბავრის 5 (ახმეტელის თეატრის უკან), I სადარბაზო, ბინა 55, VIII სართული.

---

**შეხვედრა მარადიულ სასუფეველში**
**განშორების 40 დღე**
**თინა გოგინავა-ხატიაშვილის**
**ხსოვნისადმი**





სიზმრად გიხილე, გიზოს ეხუტებოდი გულში, ტყვია რომ დაახალეს გატანჯულ ჩვენს მამულში. შველას შესთხოვდი ზენას, გამწარებული დედა ამაო იყო ლოცვა, ჩაუქრა თვალთა ხედვა.

არ აპატია მტერმა, მამულის სიყვარული. მებრძოლი სულის ვაჟკაცს ლოდად უქციეს გული. აი, აგიხდა ნატვრა, შვილთან დაიდე ბინა, ჩვენ კი უშენოდ დავრჩით ძვირფასო ქალო, თინა! ატყვია უშენობა პენსიონერთა კავშირს. შენს ხსოვნას ჩვენს გულებში, დრო ვერასოდეს წაშლის...

*საქართველოს პენსიონერთა კავშირის კულტმენეჯერი, პოეტი ნანა დარჩიაშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბარსელონა — რეალი 3 დეკემბერს გაიმართება



ცნობილი გახდა წლევანდელი პირველი ელ-კლასიკოს ჩატარების თარიღი. ბარსელონა საკუთარ მოედანზე რეალს 3 დეკემბერს მიიღებს. თბილისის დროით შეხვედრა 19.15 საათზე დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ ელ-კლასიკო დეკემბერში იშვიათად ტარდება და ეს გუნდები ერთმანეთს უფრო ადრეულ ეტაპებზე ხვდებიან ხოლმე. ამჯერად ასე არ მოხდა და ფეხბურთის გულშემატკივარს საკმაოდ დიდი ხანი მოუწევს ლოდინი.

ბოლო ელ-კლასიკო აპრილში, ასევე ბარსელონაში გაიმართა და მაშინ კატალონიელები საკუთარ მოედანზე დამარცხდნენ.

ლიონელ მესიმ რეალის კარში ბოლო გოლი 2014 წლის აპრილში გაიტანა.

# ასტონ ვილას მწვრთნელი სტივ ბრუსი იქნება

ცნობილი გახდა, თუ ვინ ჩაუდგება სათავეში ასტონ ვილას, რომელიც ცოტა ხნის წინ რობერტო დი მატეოს განთავისუფლების შემდეგ მწვრთნელის გარეშე დარჩა.

ასტონ ვილას ახალი თავკაცი სტივ ბრუსი იქნება, რომელმაც ბირმინგემულ კლუბთან რამდენიმეწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.



ბრუსმა განაცხადა, რომ ძალიან ბედნიერია ასტონ ვილაში მისვლით და შეეცდება, გუნდი კრიზისიდან გამოიყვანოს.

ასტონ ვილა ამჟამად ინგლისის მეორე დივიზიონში მე-19 ადგილს იკავებს, რაც ამ სახელოვანი კლუბისთვის კატასტროფის ტოლფასია.

ბრუსის თქმით, მას სჯერა ფეხბურთელების და ამ რთულ პერიოდს ისინი ერთად დაძლევენ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# პროგრამა

**პარასკევი 14 ოქტომბერი**

**06.00, 14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა " **08.00** ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" (მოამბის სტუდიიდან) **10.00** "მცხეთობა" სვეტიცხოვლიდან **15.00, 03.10** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა " **19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** მხ/ფ "**ჯაშუშთა თამაში**" (ბ.პიტი) **01.30** მხ/ფ "**ცოფიანი ძაღლი და გლორი**" (უ.თურმანი)

**08.00** ქარ. დ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" **09.00, 14.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **09.45** "გეოფაქტორი" **10.00** მცხეთობა (პ/ტ) **15.00, 17.00, 19.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" **18.00** ქართ. დ/ფ "სინას მთა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** იმედის დილა **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **5** სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ღია ეთერი – პოლიტიკური თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**პირველყოფილი შიში**" **01.40** მხ/ფ "**მეომრის გზა**" **03.30** მხ/ფ "**ვახშამი სულელებთან**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **11 00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 1.20** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** ცოლები და ქმრები **17.30** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**დაივიწყე პარიზი**" **3.15** URBAN STORY

**06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე" **2** ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **10.50** მოკ. მხ/ფ "**ქვევრი**" **12.10** პორტრეტები **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ვალერიანი-ბალზამინა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **15.50** კონცერტი **16.45** ჩვენი ფონდი "ზაზა სხირტლაძე-სვეტიცხოველი" **17.00** მიწათმოქმედი "მევენახე გეგელიძეებიდან" **17.20** ჩვენი საგანძური **17.40** ამბიონი-დიდი ცისკარი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ყველაზე სწრაფები მსოფლიოში**" **20.25** თვენი "მაცხოვრის კვართი" **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ფოლადაურის სათავეებში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "წმინდა ნიკოლოზის ტაძარი-ნარიყალა" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "მზია ერისთავი და ალექსანდრა ჯაფარიძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30, 2.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05, 13.00** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.10** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 3.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** "მაესტროს ფაქტორი" **23.10** სერ. "**ესკობარი**" **1.00** მხ/ფ "**კარგი რჩევა**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


14 ოქტომბრისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3527

ევრო — 2.592

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8844

100 რუსული რუბლი — 3.7794

**ამინდის პროგნოზი 14 ოქტომბრისთვის**








## 12 ოქტომბრიდან

# კახეთი

## გზამკვლევი

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**


## იუმორი



მამაკაცი ქალს ეკითხება:
– უკაცრავად, რამდენი წლის ხართ?
– ქალს ასაკს არ ეკითხებიან...
– კარგით, როდის გაქვთ დაბადების დღე?
– 6 მარტს.
– და რომელ წელს?
– თქვენ წარმოიდგინეთ, ყოველ წელს!

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:
– ძვირფასო, მე შენ ამ მთვარეს გაჩუქებ!
– კიდევ?
– ამ ვარსკვლავებსაც შენ გჩუქნი!
– რა, საყვარელო, ფული საერთოდ არ გაქვს?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:
– ძვირფასო, სამსახურში მითხრეს, რომ ხელფასზე დამატებით 15 პროცენტი დამემატება მავნებლური გარემოს გამო.
– უკვე იქაც შეაწუხე ყველა?

•••

სამსახურიდან სახლში დაბრუნებული დედა ბავშვებს ეკითხება:
– აბა, ჩემმა მშვენიერმა შვილებმა თავი რით ისახელეს?
– მე ჭურჭელი დავრეცხე, – უპასუხა ერთმა.
– ჩემი ყოჩაღი გოგო! აი შენ შოკოლადი!
– მე დარეცხილი ჭურჭელი დავამშრალე, – ეუბნება მეორე.
– ჩემი ჭკვიანი, აი შენც ნამცხვარი.
– მე კი ნამტვრევები ავხვეტე და ნაგავში გადავყარე...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:
– გუშინწინ გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე, რომ გუშინ 17:00 საათზე, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სულელების შეკრება მოეწყობოდა.
– მერე, არავინ მოსულა?
– როგორ არა, მოედანი სავსე იყო ხალხით.
– რას მეუბნები?
– მოვიდნენ ენახათ, ვინ მოვიდოდა!

•••

დილით ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
– თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?
– გუშინ ერთი ქალბატონი გავიცანი. იმან მთხოვა მისი ასაკი გამომეცნო.
– მერე?
– გამოვიცანი...


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## 11 ოქტომბრიდან

# ელისი საოცრებათა ქვეყანაში

**ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით**

ინგლისელი მათემატიკოსისა და მწერლის ლუის კეროლის ზღაპარი „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ პირველად 1865 წელს გამოიცა და დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ერიკ კინკეიდის შესანიშნავი ილუსტრაციებით გაფორმებული ეს ზღაპარი დაუვიწყარ მოგზაურობას გპირდებათ საოცრებათა ქვეყანაში.




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**



## 13 ოქტომბრიდან

# ჩემი პირველი სიტყვები ცხოველები

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**









## 21 ოქტომბრიდან

### მაიკლ პუნკე

# გადარჩენილი

რომანის მთავარ გმირს, ჰიუ გლასს, თავს დაესხა დათვი გრიზლი და დაასახიჩრა. მომაკვდავი თანამეგზურებმა მიატოვეს.

გლასი გადარჩა და დამნაშავეებზე შურის საძიებლად გაემართა. სწორედ აქ იწყება ჰიუ გლასის გადარჩენის დაუჯერებელი ამბავი.

ჰოლივუდში ამ რომანის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა 2016 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო, ოსკარი დაიმსახურა.

ნანატრი ოსკარი მიიღო მთავარი როლის შემსრულებელმა ლეონარდო დიკაპრიომაც, რომლისთვისაც ეს პირველი ოსკარია.

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**



## 18 ოქტომბრიდან

# ოლივერ ტვისტი

**ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით**




ჩარლზ დიკენსის კლასიკური ნაწარმოები „ოლივერ ტვისტი“ პირველად 1838 წელს გამოიცა და მას შემდეგ უამრავ მკითხველს შეაყვარა თავი.

ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარში დაბადებული ობოლი ბიჭუნას ამაღელვებელი თავგადასავალი ყველას ერთნაირად აუჩუყებს გულს.

წიგნი ერიკ კინკეიდის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**


# კრიშტიანო რონალდუ რეალთან 5-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს

პორტუგალიელი სუპერ ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ რეალთან ახალ 5- წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ეს უახლოეს დღეებში მოხდება და კრიშტიანოს წლიური ხელფასი 23 მილიონ ევროს გაუტოლდება.

ამრიგად, რონალდუ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. კონტრაქტის ამოწურვის დროს პორტუგალიელი ფეხბურთელი უკვე 36 წლის იქნება, ამიტომ, სავარაუდოდ, რონალდუ კარიერას მადრიდის რეალში დაასრულებს, სადაც ის 2009 წლიდან თამაშობს.



# უეინ რუნიმ შესაძლოა მანჩესტერ იუნაიტედი დატოვოს

მანჩესტერ იუნაიტედის ვეტერანმა უეინ რუნიმ, რომელიც ამ გუნდში უკვე 12 წელი თამაშობს, შესაძლოა სხვა კლუბში გააგრძელოს კარიერა.

ბოლო პერიოდში რუნი იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში და ჟოზე მოურინიო მისი თამაშით უკმაყოფილოა. გარდა ამისა, რუნი მაღალ ხელფასს იღებს, რომელიც, ბევრის აზრით, მისი თამაშის ხარისხს არ შეესაბამება.

ჯერჯერობით მანჩესტერს კონკრეტული შემოთავაზება რუნის ტრანსფერთან დაკავშირებით არა აქვს, თუმცა უეინის საკუთარ რიგებში ხილვა ბევრ ჩინურ გუნდს სურს, რომლებიც კოლოსალურ თანხას იხდიან.



თავის მხრივ, რუნიმ განაცხადა, რომ ის მანჩესტერიდან წასვლას არ აპირებს და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრისთვის ბოლომდე იბრძოლებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 2. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 3. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. იაპონური ფინანსურ-სამრეწველო კონცერნი; 8. ლამაზად, მოხდენილად ჩამცმელი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 12. მდინარე ჰამბურგში; 13. ტროპიკებში ბინადარი წყლის დიდი ფრინველი; 14. გემით ტვირთის გადასაზიდი საფასური; 16. პატარა იტალიური რესტორანი; 18. ძველად სატუსაღო, დღევანდელი იმპრესიონისტთა მუზეუმი პარიზში; 20. ინდური მეტალურგიული კომპანია.

**თარაზულად**: 6. კამათის, პოლემიკის წარმართვის ხელოვნება; 7. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 8. სოფლის პოლიციელი ძველად; 9. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი, ნავსადგური საბერძნეთში; 11. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. ესპანელი კინორეჟისორი; 17. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 19. ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიღებული უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურა; 21. ტაძარი დუშეთის რაიონში; 22. კიდული რკინიგზა; 23. რძის შაქარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი